საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაია თავართქილაძე

მართლმდიდებლური ხელოვნება უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესორი ნონა შუშანიძე

ხიჭაური

2019

ანოტაცია

უძველესი ლაზიკის გაქრისტიანებულ ქალაქ ტრაპიზონში პირველივე საუკუნეებიდან დაიწყო მართლმადიდებლური ხელოვნების მეტად საინტერესო და განსხვავებული ისტორია. თურქეთის რესპუბლიკის ამ ისტორიულ ქალაქში დღემდე არსებობს მნიშვნელოვანი მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც თავისი არქიტექტურით, მხატვრობით, რელიეფით, ავლენს გვიან ბიზანტიური და განვითარებული და გვიან შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სახასიათო თვისებებს, ადგილობრივ ტრაპიზონულ-კაპადოკიური გავლენით.

ქ. ტრაპიზონში ფიქსირდება მართლმადიდებლური ხელოვნების რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი: მცირე აია-სოფია, სუმელას მონასტერი, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. ევგენიოსის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. ფილიპეს, წმ. ანას, წმ. ანდრიას ეკლესიები, რომლებიც ავლენს შუა და გვიანბიზანტიური ხელოვნების მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ტრაპიზონის უკვლევი მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლების გაცნობა, აღწერა და შესწავლა რაც ხელს შეუწყობს დაკარგული ტერიტორიების ხელოვნების ისტორიის შესწავლის გააქტიურებას და მის დამკვიდრებას მსოფლიო და ქართულ მართლმადიდებლურ ხელოვნებაში.

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია, რადგან თითოეული ძეგლი, რომელიც განხილულია ნაშრომში, მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე და ეს შესანიშნავი მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლები ყოველწლიურად ექცევა ისლამური სარწმუნოების გავლენის ქვეშ.

სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა შესაბამისი ლიტერატურისა და წყაროების გაცნობით, დასახელებული ხუროთმოძღვრული ძეგლების რამდენჯერმე დათვალიერება-შესწავლით. ნაშრომი შედგება ექვსი თავისა და ილუსტრაციებისგან, გამოყენებული ლიტერატურის მითითებით.

შინაარსი

შესავალი.....5

I თავი: უძველესი ლაზიკის ისტორია.....7

II თავი: ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე 13

III თავი: ტრაპიზონი დედით ქართველთა.....21

IV თავი: ტრაპიზონის მართლმადიდებლური ხელოვნება.....32

V- თავი: აია- სოფიას ტაძრის ფრესკული ხელოვნება.....38

VI თავი: ტრაპიზონის აია სოფიის ტაძრისა და შემოქმედის ეპარქიის, აჭის წმ გიორგის სახელობის ტაძრის ფრესკული ხელოვნება.....43

დასკვნა.....52

გამოყენებული ლიტერატურა.....54

ილუსტრაციები.....56

შესავალი

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, არამედ კავკასიისა და ანატოლიის ისტორიაში.

შავიზღვისპირეთში ახალი იმპერიის დაარსება იყო მსოფლიო მოვლენა. ის ჩამოყალიბდა უპირველესად საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით, რაც შეესაბამებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსაც. ამ სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოს გაძლიერების და შესაბამისად, მისი საინტერესო და აქტიურებული საგარეო პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო. ცხადია, იმპერიის დაარსება საქართველოს მხრიდან იყო როგორც ტაქტიკური, ასევე სტრატეგიული ნაბიჯი.

იმპერიის წარმოქმნის საქმეში მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური სახე, რომელიც უმეტესწილად, ქართული ტომების ჭან-ლაზების სახით იყო წარმოდგენილი. საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი საერთო ეკონომიკურ და კულტურულ სისტემაში შედიოდა. ტრაპიზონის რეგიონი დანარჩენი ბიზანტიური სამყაროსგან გეოგრაფიულადაც იზოლირებული იყო მაღალი მთათა სისტემებით. რეგიონის პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად ხშირად კავკასიასთან უფრო მყარი ბუნებრივი კონტაქტი არსებობდა, ვიდრე ბიზანტიასთან. შესაბამისად ეს ყველაფერი აძლიერებდა ადგილობრვი მოსახლეობის ავტონომიურ მისწრაფებებს.

ამავე პერიოდში ვითარდება ეკონომიკა და იწყება სახელმწიფოებრიობის შენება - იქმნება ძლიერი სახელმწიფო აპარატი, უძლეველი ჯარი, საკუთარი ფულის ერთეული და აშ. ტრაპიზონელები იწყებენ ფიქრს საკუთარ იდეოლოგიაზეც. ამავე დროს საჭირო იქნებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება და მათი შეკავშირება ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოში.

წმინდა მეფე თამარის გაბედულებამ და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადაგმამ გაამართლა და გამოიღო საუკეთესო ნაყოფი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. თამარის სამშობლომ და მისივე დაარსებულმა ტრაპიზონის იმპერიამ სხვა საკითხებთან ერთად ერთი დიდი მნიშვნელოვანი საქმე განახორციელეს - როდესაც სელჩუკებმა ბიზანტიას ანატოლიის უმეტესი ნაწილი გამოსტაცეს და წინააღმდეგობის გაწევა თითქოს შეუძლებელიც კი ჩანდა, ქართველთ მეფე თამარმა მთელს მაშინდელ სამყაროს აჩვენა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო არა მარტო ასეთი სერიოზული ძალის შეკავება, არამედ თავდასხმაზე გადასვლაც და მისი შევიწროვებაც კი.

ქართული ინიციატივით ჩამოყალიბებულმა იმპერიამ მომავალში გაამართლა მასზე დაკისრებული უმთავრესი მოვალეობა - ითამაშა ბუნებრივი ბუფერის როლი კავკასიასა და ანატოლიას შორის, რითაც დიდი ხნით გადაიდო ამ უკანასკნელიდან მომდინარე საფრთხე.

ქართველი ჭან - ლაზებით დასახლებულ უძველეს ლაზიკაში ქრისტიანობა იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა. ტრაპიზონში შეიქმნა კულტურის არაერთი ძეგლი, რომელსაც ასევე ეტყობა თვითმყოფადობის ძლიერი კვალი : მცირე აია-სოფია, სუმელას მონასტერი, დედათა მონასტერი რომელიც არ ვიცით ვისი სახელობისაა, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ ევგენიოსის, წმ იოანე ნათლისმცმელის, წმ ფილიპეს, წმ ანას, წმ ანდრიას ეკლესიები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი არიქტექტურით და მხატვრობით. ამ ძეგლებს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი, თუმცა სამწუხაროდ დღეს მათი დიდი ნაწილი მეჩეთადაა გადაკეთებული და აღარ არის შემორჩენილი ულამაზესი მხატვრობის ნიმუშები. ტრაპიზონის რეგიონს ტერიტორიული სიახლოვის გამო მას საქართველოსთან ყოველთვის აქტიური ურთიერთობა ჰქონდა და ეს მჭიდრო კავშირები ასახულია კიდეც ტრაპიზონულ ხელოვნებაში. ტრაპიზონულ ხელოვნებაში ხშირად გვხვდება ქართული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ელემენტები და პირიქით. რაც კარგად ჩანს ტრაპიზონის აია სოფიისა და შემოქმედის ეპარქიის აჭის წმ. გიორგის სახელობის მხატვრობებში. აჭის მომხატველს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიურ სამყაროსთან, განსაკუთრებით კი ტრაპიზონთან რაც ვლინდება წმ. სოფიის ტაძრის მოხატულობის იშვიათი იკონოგრაფიული ვარიანტით წარმოდგენილი ზოგიერთი სცენის, აჭში აბსოლუტური სიზუსტით გადმოტანით. ისტორიულად ამ ორ რეგიონს შორის ურთიერთობა არასდროს შენელებულა, რაც კარგად ჩანს მართლმადიდებლურ მონუმენტურ ფერწერაში. ეს ერთობა აქტიურია მაშინაც კი როცა გვიანშუა საუკუნეებში ტრაპიზონზე ძალაუფლება სუსტდება.

ტრაპიზონის იმპერიის დედით ქართველი იმპერატორები იმპერიის არსებობის მანძილზე ღირსეულდ უძღვებოდნენ ქვეყანას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახლად შექმინილი სახელმწიფო ბიზანტიაზე უფრო სიცოცხლის უნარიანი გამოდგა (ბიზანტიამ

1453 წლამდე , ტრაპიზონის იმპერიამ კი 1461 წლამდე იარსება) და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ მისი ჩამოყალიბება არ იყო შემთხვევითი მოვლენა და იგი არც ბიზანტიის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. „ტრაპიზონის იმპერიის“ სახით ქართული გენის მატარებელმა სახელმწიფომ დაუმტკიცა მთელს მაშინდელ სამყაროს, რომ ღვთისმშობლის წილვხდომი საქართველო არის დიდი კულტურის, ტრადიციისა და ძლიერების სიმბოლო.

I თავი: უძველესი ლაზიკის ისტორია

ტრაპიზონი ერთ-ერთი განსაკუთრებული რეგიონია დღევანდელ თურქეთში რომელსაც შავიზღვისპირეთის დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. სხვადასხვა სამეცნიერო კვლევები ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ სპილენძისა და ბრინჯაოს ეპოქის მნიშვნელოვან დასახლებებს ადასტურებს. წერილობითი წყაროები გვამცნობს, რომ აქ ცხოვრობდნენ ხალიბები, მაკრონები, კოლხები და სხვ.

ქალაქ ტრაპიზონის სახელი ერთი ვერსიით იყო ,,ტრაპეზოს“ რაც ძველბერძნულად მაგიდას ნიშნავს. ეს იმიტომ, რომ პირველი დასახლება დაფუძნდა ორ ხეობას (დღევანდელი ზაღანოსისა და თაბაქჰანეს ხეობები) შორის მაგიდის ფორმის მქონე სწორ ადგილას. საინტერესოა ასევე ევლია ჩელების ცნობა, რომ ქალაქის სახელი მომდინარეობს ,,თარაბ-ი ზენიდან“, რაც ლამაზ ქალს ნიშნავს (ბატიაშვილი, 2012: 18-19).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში ხალიბების სამშობლო იყო და მას ქალდეა (ხალდეა) ერქვა. ხალიბები იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდება ანტიკური ხანის მწერლების ცნობებში. ისინი იხსენებიან ძირითადად დასავლურ-ქართული ტომების (კოლხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, მაკროკეფალები, ხალიდები და სხვა) გარემოცვაში. ქსენოფონტესთან და სტრაბონთან ხალიბების სინონიმად არის მიჩნეული ხალდები, რომლებსაც მეშვიდე საუკუნის სომხური „გეოგრაფია“ ჭანებთან აიგივებს.

ლაზიკის შესახებ ძველი მამების საეკლესიო თვალსაზრისს კვლევებით ადასტურებს მეცნიერი მეუფე ანანია ჯაფარიძე და მიჩნევს, რომ ლაზიკა იმთავითვე

ერქვა ტრაპეზუნტის მიმდებარე რეგიონს (ჭოროხიდან ზიგანა-გუმუშხანეს მიმართულებით) ისტორიული სამხრეთ ეგრისის ვრცელ მხარეს. მეუფე ანანია ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იყენებს შემდეგ პირველწყაროებს: სტრაბონის, პროკოფი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, თეოფილაქტე სიმოკატას და ბერძენ-რომაელ სხვადასხვა ავტორთა შესაბამის შრომებს, ასევე ძველ სომეხ ისტორიკოსთა (მოვსეს ხორენაცის, უხტანესის, არისტაკეს ლასტივერტეცისა და სხვათა ნაშრომებს) და ცხადია ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას („მოქცევაი ქართლისა," „ქართლის ცხოვრება" და სხვა) (მეუფე ანანია 2009: 6-11).

რეგიონის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა ტრაპიზონის დაარსებიდან დღემდე განსაზღვრავს არაერთი მსოფლიო დამპყრობლის ძლიერ ინტერესს საპორტო ქალაქის მიმართ. ბერძნული წყაროების მიხედვით ძვ.წ 885 წელს მილეტელებმა შავ ზღვაზე დააარსეს სინოპი, შემდეგ ამისოსი და ძვ.წ. 756 წელს ტრაპიზონი. ჰეროდოტეს ცნობით, კავკასიელმა კიმერიელებმა დაიპყრეს ტრაპიზონი, შავი ზღვის სანაპირო და მივიდნენ მცირე აზიამდე, სანამ ისინი ასურელთა მეფემ ასურბანიფალმა არ განდევნა. ქრისტეს შობამდე 546 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კიროს II იპყრობს და აქემენიდების იმპერიის სატრაპად აქცევს. ძვ.წ 333 წლიდან ეს ტერიტორია ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის საზღვრებშია. ძვ. წ. 323 წლიდან ტრაპიზონი სელევკიდების სამეფოში შედის რომელსაც ბერძნული წარმოშობის მითრიდატე I მართავდა. ძვ. წ 301 წელს ტრაპიზონი გახდა პონტოს სამეფოს ნაწილი, მითრიდატეს ომების შემდეგ 64-65 წწ. პონტოს სამეფო დაიპყრო რომმა და შეუერთა გალათიის და ბითინიის პროვინციებს. იმპერატორ ვესპასიანეს მმართველობის დროს აშენდა ახალი გზები ხოლო იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წწ) ტრაპიზონი პროვინციის დედაქალაქად აქცია.

პირველ საუკუნეში ქრისტიანობის საქადაგებლად ტრაპიზონში ანდრია პირველწოდებული მობრძანებულა. IV საუკუნეში მოღვაწე კვიპრელი ეპისკოპოსი ეპიფანე წერს, რომ ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს ,,მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში (ექვთიმე მთაწმინდელის ქართული ვერსიით: ,, მიიწია .... ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელი იგი შინ არს სოფელსა მეგრელთასა"), აქედან ის წავიდა იბერიაში. მას შემდეგ, რაც მან ზღვისპირეთის მცხოვრებნი მრავალნი განანათლნა, ის ჩავიდა იერუსალიმში". მეორე მოგზაურობის დროს, ჰაგიოგრაფის ცნობით, ანდრია მოციქული ისევ ,,მოიწია ქალაქსა ტრაპეზუნტს". მოციქულების მიმოსვლასთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება სამი პუნქტი- ტრაპეზუნტი, აფსარი და ნაფსაის ნავსადგური. პ. ინგოროყვა წერს: ,, დასახელებული სამი პუნქტი დასავლეთ საქართველოსი - ტრაპეზუნტი - სამხრეთ მხრიდან, აფსარი - შუა მხრიდან და ნაფსაის ნავსადგური (ნიკოფსია) ჩრდილოეთი მხარიდან - ნიშანდობრივ ამორჩეული აქვს იოანე საბანის ძეს, კერძოდ , იმის გამო, რომ სწორედ ამ პუნქტებთან იყო დაკავშირებული გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ დასავლეთ

საქართველოში თვით მოციქულთა მიერ. მაშასადამე წმიდა ანდრია პირველად ქალაქ ტრაპიზონში მივიდა, რომელიც მეგრელთა ქვეყანაშია, აქ მცირე ჟამი დაჰყო, აქედან შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება. დაიწყო ქადაგება და მრავალი განსაცდელი მოითმინა, სანამ ყველა არ მოაქცია.(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009: 122- 125)

გაქრისტიანებულ ტრაპიზონში პირველი საუკუნეებიდან იწყება მართლმადიდებლური ხელოვნების მეტად საინტერესო და განსხვავებული ისტორია.

ქართველთა უძველეს ქვეყანაში, რომელიც ისტორიული ლაზიკის ერთი ნაწილშია ჯერ კიდევ რომის იმპერიამ ჩამოაცილა ქართველთა სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროს. ტრაპიზონის რეგიონის ამ მხარეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სხვა სამიტროპოლიტეებთან ერთად ჩამოაყალიბა ფაზისის (ფასიდის) სამიტროპოლიტოს საეპისკოპო კათედრები - ზიგანა, პეტრა, როდოპოლისი და საისინი. მეშვიდე საუკუნისათვის ამ ვრცელ რეგიონში მთავარი ქალაქის ღირსება ტრაპეზუნტმა მოიპოვა. პირველ ათასწლეულში დაარსებულმა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიებმა რამდენიმე საუკუნე იარსება. როგორც ითქვა, ლაზიკის ეპარქიები მდებარეობდნენ ქართველი ერის უძველეს სამშობლოში, რომელსაც ლაზეთი (ლაზიკა) და ქალდეა ერქვა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ქალდეა იყო სამშობლო ყველა ქართული ტომისა, მათ შორის ცხადია სვანებისა და მეგრელ-ჭანებისა. VI-VIII სს-ში ტრაპეზუნტის რეგიონში (ლაზიკა- ქალდეაში) განლაგებულ ფასიდის სამიტროპოლიტოში შემავალ ზიგანას, როდოპოლისს, საისინასა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრების მომცველ ქვეყანას რთული ისტორია ჰქონდა (მეუფე ანანია, 2009: 9; ანანია მანგლელი,2013:6-10).

ჯერ რომმა, შემდეგ კი ბიზანტიამ დაიპყრეს ქართველთა ნათესავით დასახლებული პონტოსპირეთის მხარეები სინოპიდან ჭოროხამდე (ხუფათამდე) და შეიყვანეს თავიანთი იმპერიის შემადგენლობაში.

იმპერატორებმა დაპყრობის შემდეგ ხალიბების, მაკრონების, მოსინიკების, დრილების, კოლხების, ტიბარანებისა და სხვა ქართველი ტომების ამ მიწა-წყალზე სხვადასხვა დასახელების ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულები ჩამოაყალიბეს. 824 -863 წლებში მისმა დაშლამ და ქალდეას ცალკე თემად გამოყოფამ გამოიწვია ძველი საეპისკპოსო კათედრების - ზიგანას, პეტრას, როდოპოლისის და საისინის სახელების გაქრობა და დამცრობა. მათ ადგილას ახალი ქალაქები და შესაბამისი კათედრები წარმოიშვა. ამასთანავე, ეს ძველი საეპისკოპოსო ქალაქებიც გადანაწილდა სხვადასხვა ახალ ადმინისტრაციულ ოლქებს შორის.

პირველი ათწლეულის ბოლოს არზრუმის რეგიონიდან არაბთა განდევნის კვალდაკვალ, როცა ის ბიზანტიის სახელმწიფოს დაუბრუნდა ამ რეგიონის უმეტესი

ნაწილი ეკლესიურად დაუქვემდებარეს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს, ანუ ე.წ. ეპარქიას, „ლაზიკაში“.

მალევე, მეორე ათასწლეულის დასაწყისში, თურქმენული ტომებისაგან გათავისუფლებული ვრცელი მიწა წყალი ვანის ტბის მიმართულებით ასევე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო „ლაზიკის“ საეკლესიო ოლქის შემადგენლობაში შეიყვანეს.

იმპერატორ ვალერიანის დროს (253-260) ქალაქს გოთები დაესხნენ თავს. ისინი ტრაპიზონს ზღვით მოადგნენ. ღამის ბრძოლაში მათ ქალაქი აიღეს და დაეუფლნენ უამრავ განძეულობას. ამავე დროს ომის შიშით ქალაქს შემოხიზნული მოსახლეობაც ტყვედ ჩაიგდეს. გოთებმა საშინლად დაარბიეს ქალაქი და უამრავი ხომალდით ისევ უკან გაბრუნდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა რომაელებთან ერთად აქტიურად ებრძოდა შემოსეულ გოთებს: ტრაპიზონში მათგან დასაცავად შეკრებილი ყოფილა ამ მხარის მთელი მოსახლეობა; გოთებმა მთელი ტრაპიზონის მხარე დაარბიეს. მართალია, ტრაპიზონი ხელახლა აშენდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაიბრუნა ძველი პოზიცია. რომაელებმა ქალაქის დაცვის მიზნით აქ ჩააყენეს უძლიერესი გარნიზონი legio I pontica. ტრაპიზონი რომის იმპერიის პერიოდში ჯერ შედიოდა პონტო-პლემონიაკუს, შემდეგ კი გალატია კაპადოკიის პროვინციაში. 284 წელს რომის იმპერატოორი გახდა დიოკლეტიანე მას მოუხერხებია გოთების მიერ დანგრეული ტრაპიზონის ხელახლა აშენება. როგორც თურქი ისტორიკოსი გოლოღლუ წერს, ამის შესახებ იუწყება ქემერქაის უბანში მდებარე წმ. გრიგოლის სახელობის სამიტროპოლიტო ეკლესიაზე არსებული წარწერა. იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284-305) შავიზღვისპირეთში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. ქრისტიანობა ფარულად და ღიად ვრცელდებოდა როგორც არმიაში, ისე ხალხში. ამ პერიოდის ტრაპიზონში, დღვანდელ ბოზთფეზე (ძვ მითრას მთა) ჯერ კიდევ იდგა მითრას, იგივე აპოლონის კერპი. ტრაპიზონელები მის პატივსაცემად სხვადასხვა დღესასწაულს აწყობდნენ(ბატიაშვილი, 2012: 30-31).

VIII საუკუნეში ანატოლიაში არაბები შეიჭრნენ. შავიზღვისპირეთში გაგზავნილმა მარბიელმა ლაშქარმა 705 წელს ტრაპიზონიც აიღო. 715 წელს ბიზანტიელებმა ქალაქი დაიბრუნეს, მაგრამ 717 წელს ისევ დაკარგეს. ტრაპიზონი ბიზანტიელების ხელში საბოლოოდ 724 წელს გადავიდა. მერვე საუკუნის მეორე ნახევარში რიზე და ტრაპიზონის მხარე ხალდია პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად გაერთიანებულია დასავლეთ საქართველოსთან. ეს კავშირი დასავლეთ საქართველოსთან -აფხაზეთის სამეფოსთან გრძელდება მეცხრე საუკუნის დასაწყისში. პავლე ინგოროყვას მტკიცებით VIII – XV საუკუნეთა მანძილზე ტრაპიზონის მხარეში ანუ ხალდიაში 4 ოლქი შედიოდა: გიმორას ოლქი, ტრაპიზონის ოლქი, მაჭუკას ოლქი და საკუთრივ ხალდია. ტრაპიზონის მიტროპოლიაში შედიოდა რამდენიმე საეპისკოპოსო(ინგოროყვა, 2003: 16).

მაკედონური დინასტიის მმართველობის პერიოდი (867- 1056) აღინიშნა რეგიონის ეკონომიკის აღმავლობით, რასაც მოჰყვა ტრაპიზონის სამხედრო- ადმინისტრიცაული და კულტურულ მართლმადიდებლური მნიშვნელობის გაზრდა. სწორედ ბასილი პირველის (867-886) მეფობისას ტრაპიზონელი ეპისკოპოსის კათედრა მაღლდება მიტროპოლიტის რანგამდე.

X საუკუნის შუა პერიოდში ისტორიის ასპარეზზე გამოდიან კომნენოსები. ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ მეორემ (959-963) ამ გვარის წარმომადგენელი პონტოს მმართველად დანიშნა (კომნენსონები ჯერ ბიზანტიას მოგვიანებით კი „დიდი კომნენოსების“ გვარით ტრაპიზონის იმპერიას მართავდნენ).

ტრაპიზონმა მეათე საუკუნეში მოიპოვა დამოუკიდებელი სავაჭრო ცენტრის სტატუსი, რომელიც არავის მტრობდა. აქ ტრადიციულ ბაზრობაზე მოდიოდნენ ქართველები, რუსები, სპარსელები, სირიელები, ჩერქეზები, სომხები და ბიზანტიელები. აქ ვაჭრობდნენ მთელი მაშინდელი სამყაროდან ჩამოტანილი საქონელით.

არაბთა მპყობელობის შესუსტებისას X-XI საუკუნეებში ქალდეას თემის დედაქალაქის ტრაპეზუნტის საეკლესიო მნიშვნელობა და ავტორიტეტი გაიზარდა.

ტრაპიზონი იმითაც არის ცნობილი, რომ აქ მოხდა საქართველო ბიზანტიის დაზავება 1021-22 წლების ომის მსვლელობაში. 1021 წელს ძირითადად იმიერტაოში მიმდინარე საომარი მოქმედებანი, მიუხედავად ქართველთა ცალკეული წარმატებებისა, საბოლოოდ მაინც ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. გადამწყვეტ შეტაკებაში შირიმთან, საქართველოს ლაშქარმა მარცხი იწვნია, რის შედეგადაც ბიზანტიელები ქვეყნის სიღრმეში შეიჭრნენ და ჯავახეთი და თრიალეთი მოაოხრეს. ასეთ ვითარებაში გიორგი პირველი იძულებული შეიქმნა, დაეწყო საზავო მოლაპარაკებები ბიზანტიის იმპერატორ ბასილ მეორესთან, რომელიც გამოსაზამთრებლად ტრაპიზონში დაბანაკდა. აქ მან დასავლეთ საქართველოზე სალაშქროდ საზღვაო ფლოტის აგება დაიწყო. ელჩთა ურთიერთგაცვლის შედეგად, რომელთა შორის იხსენიება ვალასკერტის ეპისკოპოსი ზაქარია, მეომარი მხარეები დაზავდნენ. დაზავების პირობებით, საქართველოს ხელისუფლება ბიზანტიას უბრუნებდა ყველა იმ ციხესიმაგრეს, რომელიც თავის დროზე დავით მესამე კურაპალატს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, გიორგი პირველი თავს მის მოკავშირედ, ხოლო ტახტის მემკვიდრეს - უფლისწულ ბაგრატს კონსტანტინეპოლში აგზავნიდა. ტრაპიზონის დაზავება ხანმოკლე აღმოჩნდა. გიორგი პირველმა ისარგებლა ბიზანტიაში ბასილ კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხით, უარი თქვა ზავზე და ომი გაანახლა, მაგრამ საქართველოს მეფემ ამჯერადაც დამარცხდა(ბატიაშვილი, 2012: 36-37).

XI საუკუნიდან იწყება თურქ-სელჩუკთა შემოსევები. ანატოლიაში შემოჭრილი თურქმენები 1048-49 წლებში პონტოსაც შეესივნენ და ტრაპიზონამდე ტერიტორიები დაიკავეს. ისინი თავდასხმებს შემდგომაც რეგულარულად აწყობდნენ. 1054 წელს

სულთანმა თუღრულმა დალაშქრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდა. ამ ბრძოლების დროს კონსტანტინეპოლს არავითარი დახმარება არ გაუწევია ტრაპიზონისთვის. ანატოლია ამ დროს მოფენილი იყო თურქთა ურდოებით, რომლებიც მაშინ პირველად მკვიდრდებოდნენ ანატოლიის მიწა-წყალზე, და კონსტანტინეპოლის ურთიერთობა ტრაპიზონთან ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. მთელ ამ ბრძოლებს თურქმენებთან ხალდიის თემში აწარმოებდნენ ხალდია-ჭანეთის ჯარები თეოდორე გაბრასის მოთავეობით. თეოდორე გაბრასი სრულიად დამოუკიდებლად მართავდა სამთავროს, თუმცა პირველ პერიოდში მას არ შეუწყვეტია კავშირი კონსტანტინეპოლთან. თეოდორე იყო კონსტანტინეპოლში და აქ მას სამეფო კარზე დაუტოვებია თავისი ვაჟი, რომელიც ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის სიძე უნდა გამხდარიყო. მაგრამ კონსტანტინეპოლის მთავრობას, რომელიც არ ურიგდებოდა ხალდია-ჭანეთის ფაქტობრივად დამოუკიებლობას, თეოდორეს ვაჟი მძევლად გამოუცხადებიათ. ასეთ პირობებში ჩაეყარა საფუძველი ხალდიის (ტრაპიზონის) ადგილობრივ სამფლობელოს (სამთავროს), რომლის ფარგლებშიც გაერთიანდა ტრაპიზონისა და კერასუნის (გირესუნის) მხარეები. ხალდიის (ტრაპიზონის) სამფლობელო ამ დროს აღწევს სამხრეთით კოლონიამდე, აღმოსავლეთით ჭოროხის ხეობის სათავეებამდე. თეოდორე გაბრასის გარდაცვალების შემდეგ ბიზნტია ისევ შეეცადა დაემორჩილებინა ხალდია. თეოდერე გაბრასის დატყვევებული მემკვიდერე, ხალდის მფლობელი გრიგოლ გაბრასი (ტარონიტესი), ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და ისევ ხალდიის თემის მმართველად დააბრუნეს, ცხადია, იმ პირობით, რომ იგი ცნობდა კონსტანტინეპოლის მთავრობის ხელისუფლებას. მართალია გრიგოლ გაბრასი დაქორწინებული იყო ბიზანტიელ პრინცესაზე, მაგრამ ტრაპიზონში დამკვიდრების შემდეგ მან ისევ განაგრძო მამის გზა. კავშირი კონსტანტინეპოლსა და ტრაპიზონს შორის ისევ შესუსტდა. 1107 წელს ბიზანტიამ მის დასასჯელად ჯარი გაგზავნა. შეტაკებაში ტრაპიზონელები დამარცხდენენ. გრიგოლი შეიპყრეს და კონსტანტინეპოლში გაგზავნეს. ტრაპიზონი ისევ ბიზანტიას დაუმორჩლეს(ბატიაშვილი, 2012: 37-38).

მთელი მეთორმეტე საუკუნის მანძილზე გრძლდებოდა მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართელოს შორის ტრაპიზონის მხარის გამო. ერთხანს ბიზანტია აღწევს თავის მიზანს. ტრაპიზონში მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც გაბრასთა საგვარეულო განდევნილი იქნა ქალაქიდან. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლი ავრცელებს გავლენას ტრაპიზონზე და ნიშნავს აქ თავის ხელქვეით დუკებს.

II თავი : ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე

ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტია არა მარტო შეურიგდა ეგრისის სამეფოს გაძლიერებას არამედ იძულებული გახდა ხელი შეეწყო ამ პროცესისთვის იმ პირობით რომ ეს სამეფო ფორმალურად მაინც მის ვასალად დარჩბოდა. ლაზიკის მეფეები ბიზანტიის იმპერატორის ქვეშვრდომებად რჩებიან. ლაზთა მეფეებს ყოველთვის ამტკიცებდა რომის, შემდგომში ბიზანტიის იმპერატორი. ეს წესი დაარღვია ლაზთა მეფე გუბაზმა. ეს ნაბიჯი შეფასდა, როგორც ვასალის აჯანყება. ამის გამო ბიზანტიამ ჯარი შეიყვანა ლაზიკაში. საქართველოს ბიზანტია უშუალოდ ესაზღვრებოდა სამხრეთ-დასავლეთიდან და საუკუნეების მანძილზე მუდივი ურთიერთობა ჰქონდა იმპერიასთან. თავად ეს ურთიერთობები დამყარდა ჯერ ცალკეულ ქართულ ერთეულებთან, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ საქართველოსთან. ქართველი მეფეები და დიდებულები ბიზანტიის კარზე იღებდნენ მაღალი რანგის ტიტულებს. ტაო-

კლარჯეთის ბაგრატიონებს ხშირად მიუღიათ მაგისტროსობა, ანთიპატოსობა, პატრიკოსობა. უმაღლესი ტიტული კურაპალატობა აუცილებელი იყო ამ საგვარეულოს უფროსი წევრისა და ქართველთა მეფეთათვის. წყაროების მოწმობით, საგანგებო მოციქულის ხელით მათ ეგზავნებოდათ შესაფერისი ტანსაცმელი, სამკაული, საჩუქრები. ეს ურთიერთობები ყოველთვის კეთილმეზობლური არ ყოფილა. ბიზანტიელთა მხრიდან იყო აგრესიის შემთხვევები. მეშვიდე საუკუნის დამდეგს ქართლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სპარსელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თბილისში სპარსელების ჯარი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა ჰერაკლე კეისრის წინამძღოლობით განიზრახეს მისი გათავისუფლება. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ 627 წელს გახდა ეს შესაძლებელი. ძველი ალბანელი ისტორიკოსის ცნობით, მათ აიღეს " ნებიერი, მავაჭრე, სახელვანი დიდი ქალაქი თბილისი,“ ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით შემკული ნივთების ზვინები აღიმართა, რაც მოწმობს იმას, რომ თბილისი მდიდარი სავაჭრო ქალაქი ყოფილა. ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ნახევარი საუკუნით ამიერკავკასიაში დამყარდა ბიზანტიის გავლენა. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დამოუკიდებლობა დაუკარგავს და ის ბიზანტიის პროვინციად ქცეულა. წყაროებში " ლაზიკის მეფე" უკვე აღარ ჩანს და ქვეყნის მმართველი ბიზანტიური ტიტულით - "პატრიკიოსით" მოიხსენიება. ბიზანტიელი კეისრის წადილი იყო, დაახლოებოდა ქართლს, სადაც იმ დროს ერისმთავარი იჯდა. კეისარი ეძებდა ერთგულ და ძლიერ მოკავშირეს. ბიზანტიას საქართველოსთან მეოთხე საუკუნიდან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო IX-XI საუკუნეებში. ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის ყოველთვის ერთნარი ხასიათის არ ყოფილა. ზოგჯერ თითქოს მეგობრული ხასიათის კავშირები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესით იყო განპირობებული. ბიზანტიამ მრავალჯერ სცადა საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა, მაგრამ უკანასკნელი დამოუკიდებლობას არ თმობდა, იმპერიის აგრესიას წინააღმდეგობას უწევდა. არაბთა ბატონობის დასასრულმა ბიზანტია გაათავისუფლა მეტად საშიში მტრისაგან, ხოლო ქართველ ხალხს ხელი შეუწყო ძალათა გაერთიანებაში. სახალიფოს დაკნინების შემდეგ ბიზანტიამ განიზრახა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა, მწვავე ბრძოლა გაგრძელდა მანამ, სანამ ორივე მხარეს ახალი საშიში მტერი არ მოადგა თურქ-სელჩუკთა სახით(ასათიანი, 2015: 265-266).

ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტის ხელისუფლების მიერ კურაპალატი, მაგისტროსისა და ანთიპატოსის მინიჭება, რასაც ბიზანტიის კეისარი ხშირად ახორციელებდა, პირველ ყოვლისა ამ ორი მხარის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებას, ხოლო შემდგმომ საკეისროს მხრივ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ფორმალური სიუზერენობის შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა. ამით კი ბიზანტიის მბრძანებლებს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, " პატონყმური დამოკიდებულების გამოხატვა სურდათ... კეისრის უფლება

საქართველოში არასდროს... უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვრებს არ გასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ". ბიზანტიის აღმოსავლურ ლაშქრობებში ხშირად მონაწილეობდნენ ქართველებიც. გიორგი ათონელის ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, სამხრეთ ტაოს მმართველს, დავით მესამე ბაგრატიონს ომში მონაწილეობისათვის სათანადო კონპენსაცია უნდა მიეღო მიწა-წყლის სახით - "... მათ ჟამთა წინათ ბერძენთა ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა". მცირე აზიის სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელი იყო ბარდას სკლიაროსი. მას ბიზანტიაში მხედართმთავრის თანამდებობა ეჭირა. კენდრეს ცნობებით, იოანე ციმისხმის მეფობის დროს სკლიაროსი სტრატეგიული თვალსაზრისით ბიზანტიის იმპერიისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე მხარის - ქალდიის დუკა ყოფილა, რომლის რეზიდენცია ქ. ტრაპიზონი იყო. სკლიაროსი აუჯანყდა კეისარს და მას დიდი საფრთხე შეუქმნა, რისგანაც ბასილი და მაკედონელთა დინასტია ქართველებმა გადაარჩინეს. ბიზანტიის მთავრობის თხოვნით, დავით მესამე კურაპალატმა გაგზავნა ლაშქარი იოანე- თორნიკეს მეთაურობით. დავით კეისარმა გაუგზავნა "წიგნები ვედრებისაი", რათა იგი გამოსულიყო სკლიაროსის წინააღმდეგ. სკლიაროსის წინააღმდეგ კეისრის მხარეს ტაო-კლარჯეთის გამოსვლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიელი ისტორიკოსები გიორგი კედრენე და იოანე ზონარა, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი, გიორგი მთაწმინდელი, ზარზმის ეკლესიის წარწერა და სხვა. დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001წ) შემდეგ ბიზანტიამ დაიპყრო სამხრეთი ტაო. ბაგრატ მესამის დროს დაიწყო საქართველოს გაძლიერება-გაერთიანებისთვის ბრძოლა, რასაც დიდი წინააღმდეგობები ახლდა თან(ასათიანი, 2015: გვ 269).

ბიზანტიასა და საქართველოს ურთიერთობაში განსაკუთრებული მოვლენებით აღიბეჭდა IX-XI სს. ქართველთა როლი ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში საგრძნობი იყო. X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიაში "ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა უმეტესწილად ქართველებს ეჭირათ".

XI ს-ის დასაწყისში ბიზანტიასა და საქართველოს შორის მტრობა ჩამოვარდა. საქართველოს მიმართ ბიზანტია ექსპანსიურ პოლიტიკაზე გადავიდა, რადგან მას საგონებელში აგდებდა საქართველოს გაერთიანება და მომძლავრება. ბიზანტია მიზნად ისახავდა აღრინდელი მფლობელობის აღდგენას ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. ბაგრატ მესამის გარდაცვალების (1014) შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი ომი ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის, რომელიც დასრულდა 1054 წელს. იმპერატორები ბასილი და კონსტანტინე რამდენჯერმე შემოუძღვებოდნენ ლაშქარს ქართველი მეფეების დასამარცხებლად. რომანოზის დროს რამდენიმე წლით ბიზანტია საქართველოს შორის დაიდო სამშვიდობო ზავი რომელიც მალე დაირღვა.

მემატიანე აღნიშნავს, რომ ბიზანტიის მეზობლად საქრთველოს დიდი სახელმწიფოს წარმოქმნამ, რომელიც მთელ კავკასიას ეუფლებოდა, დიდად შეაშფოთა ბიზანტიის სამეფო კარი. საქართველოს გაერთიანება აფრთოხობდა მას: " ბერძენთა მეფეთაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე". ბასილი მეორე მზად ყოფილა ღმერთი დაეგმო, თუ ომში ქართველები გაიმარჯვებდნენ(ასათიანი, 2015: 272).

XI საუკუნიდან იწყება თურქ-სელჩუკთა დიდი შემოსევები. ანატოლიაში შემოჭრილი თურქმენები 1048-49 წლებში პონტოს მხარესაც შეესივნენ და ტრაპიზონამდე ტერიტორიები დაიკავეს. ისინი თავდასხმებს შემდგომაც რეგულარულად აწყობდნენ. 1054 წელს სულთანმა თუღრულმა დალაშქრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდა. იმავე წელს ტრაპიზონს კონსტანტინეპოლში მიმავალი საქართველოს მეფე ბაგრატიც სწვევია. 1071 წელს სამხედრო კატასტროფის შემდეგ, როდესაც თურქ-სელჩუკებმა მანასკერტის ბრძოლაში დაამარცხეს ბიზანტის ჯარი და თვით ბიზანტიის კეისარი რომანოზ დიოგენი ტყვედ წაიყვანეს, თურქები გაჭრილან შავი ზღვის სანაპიროზე, ხალდიის თემში და ერთი ცნობით, 1072 ან 1073 წელს მცირე ხნით ხელთ უგდიათ თვით ქალაქი ტრაპიზონიც. მაგრამ მალე აქაურ მმართველ თეოდორე გაბრასს (იგივე გავრასი) უმარჯვია და ხალდია-ჭანეთის ადგილობრივი ძალების დახმარებით ტრაპიზონი უკან დაუბრუნებია. ამ ბრძოლის დროს კონსტანტინეპოლის მთავრობას არავითარი დახმარება არ გაუწევია ტრაპიზონისთვის. ანატოლია ამ დროს მოფენილი იყო თურქთა ურდოებით, რომლებიც მაშინ პირველად მკვიდრდებოდნენ ანატოლიის მიწა-წყალზე და კონსტანტინოპოლის ურთიერთობა ტრაპიზონთან ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. მთელ ამ ბრძოლებს თურქებთან ხალდიის თემში აწარმოებდნენ ადგილობრივი ხალდია-ჭანეთის ჯარები თეოდორე გაბრასიის მოთავეობით. თეოდორე გაბრასი სრულიად დამოუკიდებლად მართავდა სამთავროს, თუმცა პირველ პერიოდში მას არ შეუწყვეტია კავშირი კონსტანტინეპოლთან. თეოდორე იყო კონსტანტინეპოლში და აქ მას სამეფო კარზე დაუტოვებია თავისი ვაჟი, რომელიც ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის სიძე უნდა გამხდარიყო. მაგრამ კონსტანტინეპოლის მთავრობას, რომელიც არ ურიგდებოდა ხალდია-ჭანეთის ფაქტობრივად დამოუკიდებლობას, თეოდორეს ვაჟი მძევლად გამოუცხადებია და ფილიპოპოლში გადაუსახლებია. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, კიდევ უფრო გააღრმავა განხეთქილება კონსტანტინეპოლისა და ფაქტობრივად დამოუკიდებელ ტრაპიზონის სამთავროს შორის. 1096 წელს მოეწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსნებმა ქალაქი ამისია სამითვით დაიკავეს. ამ მდგომარეობით ისარგებლა ტრაპიზონის ქრისტიანმა მმართველმა თეოდორე გაბრასმა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ასეთ პირობებში ჩაეყარა საფუძველი ხალდიის (ტრაპიზონის) ადგილობრივ სამფლობელოს (სამთავროს), რომლის ფარგლებშიც გაერთიანდა ტრაპიზონისა და კერასუნის (გირესუნის) მხარეები. ხალდიის (ტრაპიზონის) სამფლობელო ამ დროს აღწევს სამხრეთით კოლონიამდე, აღმოსავლეთით ჭოროხის ხეობის სათავეებამდე. თეოდორე გაბრასის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტია ისევ შეეცადა დაემორჩილებინა ტრაპიზონი. ბიზანტიის იმპერატორი ალექსი პირველი იძულებული გახდა შეგუებოდა გაბრასის ქმედებებს, რადგან კარგად ესმოდა, თუ რაოდენ დიდი იყო მისი წვლილი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვის საქმეში.

გაბრასების ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესი იყო მთელ ანატოლიაში. გაბრასები ხალდია-ჭანეთის ადგილობრივ თავადთა საგვარეულო იყო. თეოდორეს მიერ წარმოებულ დამოუკიდებელ პოლიტიკაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იგი თვითონ ახდენდა მონეტების ემისიასაც. აღნიშნულ მონეტებზე გამოსახული იყო წმ თეოდორე სტრატილატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპიზონულ მონეტებს არ შეხებია ალექსი პირველის მიერ 1092 წელს გატარებული რეფორმები და იგი ინარჩუნებდა არარეგულარულ წონით სტანდარტს. თეოდორე გაბრასი, როგორც ბეჭდებით დასტურდება ატარებდა იმპერიაში ერთ-ერთ უმაღლეს სევასტოს ტიტულს. თეოდორე გაბრასმა დიდ სამხედრო წარმატებებს მიაღწია. მან თურქებს გამოსტაცა და თავის მმართველობაში შეიყვანა მიწები ტრაპიზონიდან ნეოკესარიის ჩათვლით. თეოდორე გაბრასი თავდადებით დიდი გამარჯვებებით ებრძოდა თურქებს, ერთი გამონაკლისის გარდა არსოდეს დამარცხებულა. თურქული ვერსიით, გაბრასი თურქების წინააღმდეგ ბრძოლისას 1098 წელს ტყვედ ჩავარდა. იგი თეოდოსიოპოლისში, (დღევანდელ არზრუმში) წაიყვანეს, სადაც აწამეს მას შემდეგ რაც მან უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე. წამებულის გვამი, თავის ქალის გარდა, რომლისგანაც ფიალა გააკეთეს, დაწვეს. იგი ეკლესიამ მეთორმეტე საუკუნეში წამებულად, XIV საუკუნეში კი წმინდანად აღიარა. მისი ხსენების დღე 2 ოქტომბერია(ბატიაშვილი, 2012: 37-42).

თეოდერე გაბრასის დატყვევებული მემკვიდერე, ხალდიის მფლობელი გრიგოლ გაბრასი (ტარონიტესი), ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და ისევ ხალდიის თემის მმართველად დააბრუნეს, ცხადია, იმ პირობით, რომ იგი ცნობდა კონსტანტინეპოლის მთავრობის ხელისუფლებას. მართალია გრიგოლ გაბრასი დაქორწინებული იყო ბიზანტიელ პრინცესაზე, მაგრამ ტრაპიზონში დამკვიდრების შემდეგ მან ისევ განაგრძო მამის გზა. კავშირი კონსტანტინეპოლსა და ტრაპიზონს შორის ისევ შესუსტდა. 1107 წელს ბიზანტიამ მის დასაჯელად ჯარი გაგზავნა. შეტაკებაში ტრაპიზონელები დამარცხდნენ. გრიგოლი შეიპყრეს და კონსტანტინეპოლში გაგზავნეს. ტრაპიზონი ისევ ბიზანტიას დაუმორჩილეს. მაგრამ

გრიგოლს მალევე აპატიეს და ისევ ტრაპიზონის მმართველად გამოუშვეს. ამ პერიოდში, XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს გაძლიერდა საქართველოს სახელმწიფო. დავით აღმაშენებელი, არაერთგზის გამოჩენილა თავისი ძლევამოსილი ჯარებით ტრაპიზონთან.

როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, დავითის დროს ხალდია ტრაპიზონის სამფლობელო (რომელიც ამ დროს მოიცავდა ტრაპიზონისა და კერასუნის მხარეებს) პოლიტიკურად უკავშირდება საქართველოს. ძველი ქართული ძეგლიდან, საქართველოს სახელმწიფოს კარის გარიგებიდან დასტურდება, რომ დავით აღმაშენებლის დროს ტრაპიზონის სამფლობელო საქართველოს მეფეთა მეფის ვასალთა შორის ითვლებოდა. ეს ვასალი საქართველოს სახელმწიფოსი თუმცა სახელდებით მოხსენიებული არაა, მაგრამ ქრონოლოგიის მიხედვით იგი, ჩანს, იყო გრიგოლ გაბრასი.

მკბლევარი ნ. ბაგაური აღნიშნავს, რომ გაბრასების ოჯახთან საქართველოს სამეფო დინასტიის რაიმე კავშირზე წყაროებში არანაირი ინფორმაცია არაა დაცული. ეს ერთი შეხედვით, მაგრამ საქართველოს კავშირი ამ მხარესთან ეჭვს არ იწვევს. ამის დასტურია ნუმიზმატიკური მასალა, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ვისაუბროთ გაბრასებსა და ბაგრატიონებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ ემისიაზე, შუბლის მხარეს გამოსახულია მლოცველი ღვთისმშობელი, ვლაქერნისად წოდებული, ხოლო ზურგის მხარეს-ჯვარი. ვლაქერნის ღვთისმშობელის ტიპოლოგია აღებულია ალექსი კომნენოსის მონეტებიდან, ხოლო ჯვარი - ხალდიის თემის დუქსის თეოდორე გაბრასის ემისიებზეა დატანილი. გაბრასისეული ჯვრის დავით აღმაშენებლის მონეტაზე გამოჩენა ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის მჭიდრო კავშირის დამადასტურებელია (შემდგომში დასავლეთ საქართველოში „კირმანეულის“ გავრცელებაც მსგავსი ფენომენი უნდა იყოს). მით უფრო, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ერთ დროს ერთიან ეკონომიკურ და კულტურულ სისტემას ქმნიდა. მეთერთმეტე საუკუნეში ხალდიის მხარე ხშირად საქართველოს ისეთივე მოკავშირეა, როგორც შემდგომში იყო ტრაპიზონის იმპერია(ბატიაშვილი, 2012; 42-45).

ტრაპიზონის სამფლობელოს კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც დამყარებულია გრიგოლ გაბრასის დროს, გრძელდება მისი შვილის და მემკვიდრის კონსტანტინე გაბრასის მმართველობისას. ამ უკანსკნელმა 1119 წელს მის წინააღმდეგ გამოგზავნილი ბიზანტიის ჯარები დაამარცხა და დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ხელმძღვანელი გახდა. კონსტანტინემ შეძლო საკუთარი პაპის წმინდა ნაწილების (თავის ქალის) გამოსყიდვა და ტრაპიზონში გადაბრძანება.

მან აქ წმ თეოდორეს სახელობის მონასტერიც დააფუძნა (აღნიშნული მონასტრის ეკლესია მეცხრამმეტე საუკუნეში ნანგრევების სახით ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრაპიზონში, წმ. ბასილის ეკლესიის გვერდით. დღეს მისი კვალი აღარ შეიმჩნევა). ე. ბრაიერი ამ მოვლენას 1119-1120 წლებით ათარიღებს, როდესაც კონსტანტინე მოკავშირეობდა ერზინჯანის ამირა მანგუჯაკთან.

კონსტანტინეპოლი, თავის მხრივ, ცხადია არ შერიგებია ტრაპიზონის მხარის ჩამოშორებას. ბიზანტიურ წყაროებში დაცულია ცნობა, რომ (როდესაც ტრაპიზონიის მფლობელი იყო კონსტანტინე გაბრასი) ბიზანტიის კეისარს იოანე მეორე კომნენოსს (1118-1143) ულაშქრია ტრაპიზონის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებული უკან გაბრუნებულა, ეს ამბავი 1139 წელს მომხდარა.

იოანე დამარცხებას არ შეგუებია. მისმა ერთ-ერთმა მხედართმთავარმა 1140 წელს შეძლო ხალდიის დუქსის დამარცხება. აღნიშნული თარიღის შემდეგ კონსტანტინე გაბრასი წყაროებში აღარ მოიხსენიება, რაც ისტორიკოსების ნაწილს იმის მტკიცების საშუალებას აძლევს, რომ იგი მოკლეს. ქალაქი ისევ ბიზანტიელთა ხელში გადავიდა. მანუელმა ტრაპიზონის დუქსად ბიზანტიური ჯარების სარდალი მიხეილ გაბრასი დანიშნა. მის შემდეგ თეოდორე მეორე გაბრასი გახდა დუქსი. 1169 წელს კი ტრაპიზონს უკანასკნელი დუქსი ნიკიფორე პალეოლოგოსი მართავს(ბატიაშვილი, 2012: 45-46).

XII საუკუნის მანძილზე ბიზანტიასა და საქართველოს შორის გრძელდებოდა მეტოქეობა ტრაპიზონის მხარის გამო. ერთხანს ბიზანტია აღწევს თავის მიზნებს. ტრაპიზონში მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც გაბრასთა საგვარეულო განდევნილი იქნა ქალაქიდან. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლი ავრცელებს გავლენას ტრაპიზონზე და ნიშნავს აქ თავის ხელქვეით დუკებს. მოგვიანებით გაბრასები კვლავ ბრუნდებიან ტრაპიზონში. თუმცა, ისინი პერიფერიებში ინაცვლებენ - სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები გაბრასები სამფლობელოების შენარჩუნბის მიზნით ისლამს იღებენ და კონიის სულთნის მხრში დგებიან (მათი ნაწილი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლებშიც კი მონაწილეობს) მეორე შტო ბიზანტიელ დიდგვაროვნებში ითქვიფებიან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. ბრაიერი, გაბრასების გავლენა შავიზღვისპირეთში ნულს უტოლდება.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული იყო ტრაპიზონის მხარის ბედით, ცხადია, გულგრილად არ შესცქეროდა აქ მიმდინარე მოვლენებს.

ცნობილი ბიზანტიოლოგი თ. უსპენსკი იმ აქტიური პოლიტიკის განხილვისას, რომელსაც აწარმოებდნენ საქართველოს მეფეები XII საუკუნეში შავი ზღვის

სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ტრაპიზონის მხარის ზონაში) უპირატესობის მოპოვების მიზნით, აღნიშნავს, რომ ქართული ჯარები თამარის მამის გიორგი მესამის (1155-1148) დროს აღწევენ როგორც კარნუ-ქალაქამდე (არზრუმამდე), ისე ტრაპიზონამდე.

როგორც ჩანს, მაშინ სახელმწიფოებრიობის იდეა მხოლოდ ჩანასახში არსებობდა, ვერ განვითარდა და ტრაპიზონს პროვინციის სტატუსი შერჩა. ბიზანტიის იმპერია დასუსტებული იყო, მაგრამ სხვადასხვა გზით მაინც ახერხებდა ავტონომიური მისწრაფებების გაუვნებელყოფას. ახალი იმპერიის წარმოშობა დაუკავშირდა ერთი მხრივ, ბიზანტიის კიდევ უფრო დასუსტებას და მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკურ ნებასა და რეგიონში კომნენოსთა საგვარეულოს გამეფებას(ბატიაშვილი, 2012: 46-47).

თამარ მეფის დრო ძალზე მნიშვნელოვანია ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების თვალსაზრისით. XIII საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტია დაასუსტა შინაპოლიტიკურმა ბრძოლებმა, ხოლო 1204 წლის 13 აპრილს კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა აიღეს. ეს გარემოება გამოიყენა საქართველოს სამეფო კარმა და დალაშქრა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია. ამას კი წინ უძღოდა ის ფაქტი, რომ მეფე თამარის მიერ პატივით მიღებულნი „ მონაზონნი შავი მთისა“ ბიზანტიაში დაბრუნებისთანავე იმპერატორთან დაახლოებულმა პირებმა გაძარცვეს, რამაც დიდად განარისხა მეფეთ-მეფე თამარი, ჯარი შეჰყარა და ფაქტობრივად ომი გამოუცხადა ბიზანტიის იმპერიას. ქართველთა ლაშქრის ბრძოლის შედეგად „ წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სმისონი, სინოპი, კერასუნდი....“ დაპყრობილი მხარეებისაგან მეფე თამარმა 1204 წელს შექმნა ტრაპიზონის სამეფო, რომლის სათავეში ჩააყენა ბაგრატიონთა ნათესავი (მეფე თამარი მისთვის მამიდად ითვლებოდა) ალექსი კომნენოსი: „ მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი“. „ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გადმოგვცემს, რომ ქართველთა მიერ მცირე აზიაში ბიზანტიის დამარცხებასა და ქართული სახელმწიფოს შექმნას დიდი გამოძახილი ჰქონია ჯვაროსნებში. ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ თურქთა გააქტიურება გამოიწვია. უფრო მეტიც, ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ „ტრაპიზონის სამეფოს შექმნა წინ უსწრებდა კონსტანტინეპოლის საბოლოო დაცემას“. ინტერესს აღძრავს ისიც, თუ რატომ აიღო საქართველოს სამეფო კარმა გეზი ტრაპიზონის სამეფოში კომნენოსთა გამეფებაზე. ზ. ავალიშვილი ამას იმ გარემოებით ხსნის რომ კომნენოსთა სამი თაობა საქართველოში ცხოვრობდა და ნათესაობდა ქართულ სამეფო სახლთან. მას, შემდეგ რაც 1185 წელს ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს და სამეფო ანგელოსთა დინასტიამ დაისაკუთრა, ანდრონიკოს

შვილიშვილები ალექსი და დავითი, მანუელის შვილები, თამარის კარმა შეიფარა. ნათესაობასთან დაკავშირებით მემატიანე იმაზეც მიუთითებს რომ დავით აღმაშენებლის ასული კატაი საბერძნეთში იყო გათხოვილი (ასათიანი, 2015: 280).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებიდან რამდენიმე წელში, დაახლოებით 1214 წლიდან ტაპიზონში ძლიერდება მართლმადიდებლური ხელოვნება. შენდება ახალი სასახლეები და ტაძრები. არქიტექტურული ცვლილებები ქალაქს აძლევდა დედაქალაქის ანუ ახალი კონსტანტინეპოლის სახეს. ტრაპიზონის იმპერიის დროს აღადგინეს და შეამკეს ძველი ეკლესიები. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები. ბიზანტიის საკეისროს დარსების შემდეგაც, ქართული ჯარი იქითგან მთლიანად არ წამოსულა, რადგან თამარის ზემოაღნიშნული მოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის გეზისა.

ამრიგად, ტრაპიზონის იმპერია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, განსაკუთრებით-დასავლთიდან ბიზანტიელთა და სამხრეთ დასავლეთიდან რუმის თურქთა სასულთნოს შემოტევათა უკუსაგდებად. გამოჩენილი ნუმიზმატოლოგის ბართლომეის აზრით, თამარ მეფის მიერ შავი ზღვის ნაპირზე ახალი საქრისტიანო სახელმწიფოს დაარსება იმ დროს, როცა ფრანკებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს, ამ დედოფლის პოლიტიკურ სიბრძნეზე მოწმობს. ტრაპიზონის სამეფომ 250 წელიწადზე მეტი იცოცხლა და უამისოდ საქართველო, იმ განუწყვეტელი უბედურებით აღნიშნულ ხანებში, უეჭველად დაიღუპებოდაო. ეს რომ მართლაც ასეა, დასტურდება ტრაპიზონის დაცემის (1461) შემდეგ განვითარებული მოვლენების ანალიზით.

III თავი: ტრაპიზონის იმპერია დედით ქართველთა

მეოთხე ჯვაროსნული ომის დროს (1204) დასავლეთ ევროპელი და ვენეციელი ჯვაროსნების მიერ დამხობილი ბიზანტიისა და მის სანაცვლოდ დაარსებული

კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერიის შემდგომ ბერძნული მემკვიდრეობის მხოლოდ რამდენიმე მცირე სახელმწიფოღა შემორჩა ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე: ნიკეის იმპერია (დღევანდელი იზნიკი, იზნიკის ტბის აღმოსავლეთით და იზმითის სამხრეთით, თურქეთში), ეპირუსის დესპოტატი (დღევანდელი ჩრ.-დასავლეთ საბერძნეთი და სამხრეთ ალბანეთი, ბალკანებში) და ტრაპიზონის იმპერია (დღევანდელი ტრაპიზონ-სამსუნი, თურქეთში).

ტრაპიზონის იმპერია დაარსდა თამარ მეფის უშუალო ხელშეწყობით ყოფილი იმპერიული კომნენოსების გვარის ორი წარმომადგენლის, იმავდროულად დავით აღმაშენებლის მეკვიდრეების, გიორგი III-ის შვილიშვილებისა და რუსუდანის ძენის - ძმები დავით და ალექსი I-ის მიერ (მართავდა 1204-22 წწ).

ტრაპიზონის იმპერიის მმართველ კომნენოსებს, რომელთაც ისტორიული სამფლობელოები ჰქონდათ კასტამონსა და კომანაში, იმთავითვე ქართველური წარმოშობის საგვარეულოდ მიიჩნევს გიორგი გოზალიშვილი [გოზალაშვილი, 1972: 20-21), ისევე როგორც ეჭვს არ იწვევს ტრაპიზონის უძველეს მმართველთა გაბრადესებისა და მათი უმთავრესი წმინდანის, თეოდორეს ლაზური წარმოშობა: გიორგი პახიმერე როდესაც საუბრობს მიხეილ VIII პალეოლოგოსის მიერ 1267 წლიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქად ვინმე გერმანეს დანიშვნაზე, აღნიშნავს, რომ უკანასკნელი იყო "ტომით სრულიად ნამდვილი ლაზი, სწორედ ისევე როგორც გაბრა" (პახიმერე, 1965:58). იგივე მემატიანე იმპერატორ იოანე კომნენოსს (1280-1297 წწ.) მოიხსენიებს"ლაზების პიქონტად" (პახიმერე,1965:67-68), ლეონიკ ხალკოკონდოლე კი - `კოლხეთის მეფედ" (პახმიერე:1965:68) ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯერ კიდევ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე კომნენოსები ხშირად ჩნდებიან იბერიული სამოსით. მაგ. პატრიარქ თეოდოსის (1178-1183 წწ.) დელეგაციის შეხვედრისას ანდრონიკეს აცვია იისფერი სამოსი "იბერიული ქსოვილისაგან შეკერილი" (ხონიატე, 1966:124).

კომნენოსები ასპარეზზე ჩნდებიან მიხეილ დუკას დროს (1071-1078 წწ.), როდესაც იწყება ყმაწვილი ალექსი კომნენოსის აღზევება (გრიგორასი,1997:309-311). პროვინციელ კომნენოსთა დაწინაურება სამეფო კარზე ბევრს არ სიამოვნებდა, ამიტომ, ალექსიმ და მისმა ძმამ, ისააკმა "მოშურნეთა მოსაგერიებლად სასახლის ძალები მიიმხრეს": ისააკმა ცოლად შეირთო დედოფლის დისწული (ბერძნული ტექსტების თარგმანი, 1966: 49), რის შემდეგაც დედოფალმა იშვილა ალექსი (ბერძნული ტექსტების თარგმანი, 1966:50). აქ საუბარია დედოფალ მართა-მარიამზე, ბაგრატ IV-ის ასულზე: "მატიანე ქართლისას" მიხედვით, "დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა" (ქართლის ცხოვრება, 1995:308). სწორედ აქ გამოუჩნდნენ მას მოკავშირედ კომნენოსები, რომლებიც მარიამს თვისტომად და საერთო წარმოშობისად თვლიან: "ოღონდ ღირსი გავხდეთ შენს თვისტომებად და მეგობრებად [ვითვლებოდეთ], იქიდანვე წარმოშობილებად, საიდანაც შენ ხარ წარმოშობილიო" (ბერძნული ტექსტების თარგმანი, 1966:54). კომნენოსების შეთქმულება წარმატებით დასრულდა. 1081 წელს ალექსი კომნენოსი ბიზანტიის იმპერატორია, რითაც დაიწყო კომნენოსების მმართეევლობის ასწლიანი ხანა.

“ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა" ავტორი დავით IV აღმაშენებლის ასულის, კატაის ბიზანტიაში გათხოვების შესახებ გვამცნობს: “ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისა" (ყაუხჩიშვილი, 1955: 334). ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოპალიანი, შ. მესხია, რ. მეტრეველი მიიჩნევენ, რომ კატაი ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის უმცროს ვაჟზე - ისააკზე გაათხოვეს (სამუშია, 2003:69). ბაგრატიონებთან შემდგომი ურთიერთობა უკავშირდება მათ შვილს, ანდრონიკე I-ს (1183-1185 წწ.), ბიზანტიის უკანასკნელ კომნენოს იმპერატორს, რომელიც შეთქმულებმა 1185 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს. ანდრონიკე პირველის ვაჟიშვილმა მანუელმა და რუსუდანმა, სავარაუდოდ, იქორწინეს 1180 წელს, რითაც მანუელი გახდა თამარ მეფის სიძე. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" დაცულია ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ესტუმრა ბაგრატოვანთა სამეფო კარს, გიორგი III-ის ზეობისას, ბიზანტიის უკანასკნელი კომნენოსი იმპერატორი ანდრონიკე: "მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნენოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის დისწული დიდისა მანუილ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა" (ყაუხჩიშვილი, 1959:17). ანდრონიკემ აქ ციხეები და ქალაქებიც მიიღო და ქართველთა ჯართან ერთად დარუბანდს ლაშქრობისას თავიც ისახელა.

ქართული წყაროების მიხედვით მანუელის ვაჟები, მცირეწლოვანი დავითი და ალექსი, საქართველოში აღიზარდნენ, რასაც თ. უსპენსკიც აღნიშნავს: “Комнины ещё младенцами попали в Грузию, где и полуочили воспитание; природным языком их был грузинский. Воспитываясь и выростая при дворе своей родственницы, среди туземцев и в армии, они всюду были под влиянием грузинской жизни и грузинских понятий, так что, в 20-летнем возрасте, по всей вероятности, больше походили на грузинских князей, чем на византийских" (Успенски, 1929:30).

როდესაც ანდრონიკე I 1185 წელს შეთქმულებმა მოკლეს, მანუელი დაბრმავდა და ამის შედეგად მალევე გარდაიცვალა. მისი მეუღლე რუსუდანი, ვაჟიშვილებთან - ალექსიოსთან და დავითთან ერთად გამოიხიზნა კონსტანტინოპოლიდან, რათა თავი დაეღწია ანდრონიკოსის დამამხობელის, ისააკ II ანგელოსის დევნისაგან. დასავლური წყაროების თანახმად, უცნობია რუსუდანმა მოახერხა თუ არა საქართველოში დაბრუნება თუ დასახლდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, საიდანაც კომნენოსების საგვარეულო იღებს სათავეს. ქართული წყაროების მიხედვით კი: “მოვიდა დიდი კომნენოსი, ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან, მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებით და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი..." (პანარეტოსი, 1967: 34). ზ. ავალიშვილი მონოგრაფიაში “ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი" აღნიშნავს, რომ ქართული წყაროს "ალექსი ანდრონიკეს შვილი" სხვაა (სავარაუდოდ, ანდრონიკეს I-ის არაკანონიერი შვილი), ხოლო 1204 წლის ტრაპიზონის პირველი კეისარი კი სხვა, ანუ ამ უკანასკნელის ძმისშვილი (მანუელის შვილი). ამდენად, “ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემულია ალექსი კომნენოსის, ანდრონიკე I-ის არაკანონიერი ძის, ე. ი. ალექსი I დიდის (ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლის) ბიძის ისტორია (XIII).

თამარ მეფემ, რომელიც სამართლიანად ითვლება ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლად, მნიშვნელოვანი სამხედრო-ფინანსური დახმარება აღმოუჩინა რუსუდანის ძეთ: ალექსი I-ს, ტრაპიზონში გასამეფებლად და დავითს, რომელმაც იმპერიის საზღვრები გააფართოვა დასავლეთითაც, დაიკავა რა თავდაპირველად, სინოპი, ხოლო შემდგომ პაფლაგონია და ჰერაკლეას პონტიკა, სადაც ის ესაზღვრებოდა თეოდორე I ლასკარისის მიერ დაარსებულ ნიკეის იმპერიას. ტრაპიზონის მმართველები, რომლებიც თავის თავს "მეგას კომნენოსებს" ეძახდნენ, თავიდან “რომაელების იმპერატორად და ავტოკრატებად" მოიხსენებოდნენ(გოზალაშვილი,1972: 135).

ტრაპიზონის იმპერია შესუსტდა მას შემდეგ, რაც თურქ-სელჯუკებმა აიღეს სინოპის მხარე 1206 წელს, ხოლო თავად სინოპი - 1214 წელს და იმპერატორი იკონიუმის ვასალი გახდა. მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერია აღდგა ნიკეას მმართველობის ფარგლებში 1261 წელს, ტრაპიზონმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, თუმცა, ხშირად უწევდა მცირე აზიის სხვადასხვა ქვეყნებისადმი ხარკის გადახდა. მონღოლთა შემოსევის შემდეგ მოხდა ტრაპიზონის არნახული ეკონომიკური აყვავება. ის გახდა მცირე აზიიდან მომავალი კომერციული მარშრუტების მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელიც უკავშირდებოდა მონღოლების მიერ გახსნილ აღმოსავლეთ აზიის დიდ სავაჭრო მარშრუტს. ამგვარად, ტრაპიზონი გახდა აბრეშუმის გზის უმნიშვნელოვანესი კვანძი. რუსეთიდან და შუა აზიიდან ევროპისაკენ მიმავალმა მარშრუტებმა კიდევ უფრო გაზარდეს ტრაპიზონის, როგორც აბრეშუმის გზაგასაყარზე არსებული ცენტრის მნიშვნელობა. ამ დროს მის კომერციულ ცხოვრებას აკონტროლებდა გენუა და ვენეცია, ხოლო მის პოტენციალს ზრდიდა საკუთარი მდიდარი წიაღისეულისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი - იქნებოდა ეს საყოველთაოდ ცნობილი კერასუნის მდიდარი მადნეული თუ ჭანიჭა-ჭანიჭათი-არგიროპოლის-გიუმიშხანეს, ანუ ”ვერცხლის ქალაქის" საბადოები, რომელიც თავის ისტორიას ალექსანდრე მაკედონელის პერიოდიდან ითვლის; ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ტიმოთე გაბაშვილის მოსაზრება: ”გუმიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო. ჭოროხის წყლის სათავე - ეს არისო სამძღვარი საქართველო" (გაბაშვილი, 1990: 190). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთაგან ეს მხარე ოდითგანვე განთქმული იყო ღვინით, ზეთისხილითა და მარცვლეულით; თხილი, ჩაი და თუთუნი აქ მოგვიანებით დამკვიდრებულა.

იმპერიას 1185 წელს განდევნილი კომნენოსების დინასტია მართავდა. ტრაპიზონის პირველი იმპერატორი ალექსი I გახდა, რომელმაც თამარ მეფის მხარდაჭერა მოიპოვა. ამავე წელს გენუელებმა ტრაპიზონში კოლონია დაარსეს. მათმა კონკურენტმა ვენეციელებმა 1319 წელს გახსნეს სავაჭრო ცენტრი. XIII საუკუნის შუა წლებში ქალაქმა არნახული აღმავლობა განიცადა სავაჭრო და საბაჟო შემოსავლების შედეგად. ის გახდა რუსეთს, შუამდინარეთსა და მცირე აზიას შორის ცენტრალური სავაჭრო პუნქტი. ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ გენუისა და ვენეციის სავაჭრო პუნქტებმა შეასრულეს. ამ ეკონომიკური აღმავლობის დროს ქალაქში გაჩნდა კულტურის დიდებული ძეგლები. კომნენოსების ძალაუფლების პიკის დროს ქალაქი ბერძნული ხელოვნების უკანასკნელ კუნძულად იქცა მცირე აზიაში. აშენდა მრავალი

ეკლესია, რომლებმაც დღემდე ვერ მოაღწიეს, მცირე აია სოფიას ტაძრის გარდა. კომნენოსები აშენებდნენ ახალ მონასტრებს და მხარს უჭერდნენ არსებულებს. 1320 წელს მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ ტრაპიზონმა თურქული ტომების რამდენიმე შეტევა გადაიტანა. ამას თან დაერთო შინაომები და სამოქალაქო ინტრიგები. მიუხედავად ამისა, ქალაქმა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის სტატუსი XV საუკუნემდე შეინარჩუნა.

განვითარების მწვერვალს იმპერიამ მიაღწია ალექსი II-ს დროს (1297-1330). აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო მარშრუტიც - აბრეშუმის გზა. 1295 წელს მარკო პოლო ევროპაში დაბრუნდა ტრაპიზონის გავლით. ალექსი III-ს დროს (1349-1390) ტრაპიზონი გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სავაჭრო ცენტრად, რომელმაც სახელი გაითქვა უდიდესი სიმდიდრითა და ხელოვნების ნიმუშებით. მონღოლთა გავლენის შესუსტების პარალელურად, 1320 წლიდან, ტრაპიზონი დაასუსტა თურქთა შემოსევებმა, სამოქალაქო ომებმა და საშინაო ინტრიგებმა. შემდგომში, ტრაპიზონის სატრანზიტო პოტენციალი მნიშვნელოვნად შეამცირა სუეცის არხის გახსნამ 1869 წელს და სატრანზიტო კორიდორის ფოთზე გადატანამ 1872 წლიდან.

უკვე XIV საუკუნიდან კომნენოსები ცდილობდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას ქალიშვილების ოსმან პრინცებზე დაქორწინების გზით. ამიტომაც, ზოგადად, ტრაპიზონსა და მუსლიმებს შორის ურთიერთობა საკმაოდ მეგობრული იყო კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453). ამ დროს, ტრაპიზონის უკანასკნელმა იმპერატორმა დავით კომნენოსმა მამია გურიელთან ერთად შეკრა არა-ოტომანური აზიური ქვეყნების ალიანსი სულთან მეჰმედ II-ის წინააღმდეგ. 1461 წელს მეჰმედმა აიძულა დავითი დანებებულიყო, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ის სიკვდილით დასაჯა ერთის გარდა ოჯახის ყველა მამრობით წევრთან ერთად.

ბიზანტიის ისტორიაში კომნენოსები ყველაზე დღეგრძელები აღმოჩნდნენ, რომელთა მმართველობამ გასტანა 257 წელი. ამასთან, როგორც წესი, კომნენოსების მემკვიდრეთ ქართველი დიდებულები მოჰყავდათ ცოლად, ხოლო ქალიშვილები ქართველ ბატონიშვილებზე ქორწინდებოდნენ. სწორედ ამიტომაც, ტრაპიზონის 21 იმპერატორთაგან (სამმა: იოანე II მეგას კომნენოსმა, ანა ანაჩოუტლუ მეგალე კომნენემ და მიქაელ მეგას კომნენოსმა ორ-ორჯერ აღიდგინეს თავ-თავიანთი ტახტი) სულ ცოტა ნახევარს ან დედა ჰყავდა ქართველი და/ან თავიანთი ქალიშვილები მიათხოვეს ქართველ დიდებულებს.

1. ალექსი I მეგას კომნენოსი (1182-1222, მართავდა 1204-1222) და დავითი (1184-1214, მიიერთა სინოპი, პაფლაგონია და ჰერაკლეას პონტიკა), როგორც აღინიშნა, ითვლებიან ტრაპიზონის იმპერიის თანადამფუძნებლებად. ალექსი I-ის ძირითადი მფარველი იყო თამარ მეფის საქართველო. თურქ-სელჯუკების მიერ ნიკეის იმპერიისა და სინოპის დაპყრობის შემდეგ 1214 წელს, ის აგრეთვე დამოკიდებული გახდა იკონიუმის სულთანაზე, იტალიურ საპორტო ქალაქებზე (ძირითადად, გენუაზე) და ერზრუმისა და ერზინჯანის მცირე საემიროებზე.

2. მანუელ I მეგას კომნენოსის (1238-1263) დროს საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ტრაპიზონის ფულის ერთეული – კირმანუელი. მას მეორე ცოლისაგან, იბერიის დედოფალ რუსუდანისაგან ჰყავდა ქალიშვილი: თეოდორა,

ხოლო მესამე ცოლისაგან, ირინე სირიკაინადან – 4 შვილი, რომელთაგან ერთი ქალიშვილი გათხოვდა საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებულზე.

3. გიორგი მეგას კომნენოსის (1266-1280) უცნობი ქორწინების შედეგად მას ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც ქართველ დიდებულს გაჰყვა ცოლად.

4. იოანე II მეგას კომნენოსის დროს (1280-1284, აღიდგინა 1285-1297) ტიტულში გაჩნდა "იბერიის" დასახელება. 1282 წელს კონსტანტინოპლში ყოფნისას მან მიიღო დესპოტეს ხარისხი. ამ დროს იმერეთის მეფე დავით VI შეეცადა ბიზანტიაზე გავლენის აღდგენას და ტრაპიზონის აღებას. მისი შემწეობით 1284 წელს ტახტზე ავიდა მანუელ I-ისა და მისი ქართველი მეუღლის, რუსუდანის ქალიშვილი, თეოდორა, თუმცა, იოანე II-მ მალევე აღიდგინა ძალაუფლება 1285 წელს.

5. ნახევრად ქართველი თეოდორა მეგალე კომნენე (1284-85) მისი ნახევარ-ძმის, იოანე II-ის ტახტზე აღდგენის შემდეგაც ინარჩუნებდა დიდ ძალაუფლებას, ჭრიდა რა საკუთარ ფულის ერთეულსაც კი საქართველოს ხელშეწყობით. მის მმართველობამდე თუ მმართველობის შემდგომ, ის მონაზვნად იყო აღკვეცილი.

6. ალექსი II მეგას კომნენოსმა (მართავდა 1297-1330) ოჯახისაგან დამოუკიდებლად ცოლად შეირთო იბერიელი დედოფალი, ჯიაჯაკი, ბექა II ჯაყელის, 1300 წლისთვის სამცხის ბეგის ასული. სწორედ მის დროს მიაღწია ტრაპიზონის იმპერიამ თავისი განვითარების მწვერვალს, რაშიც საქართველოსთან და ქართველებთან ახლო მეკავშირეობაც ეხმარებოდა. ალექსისა და ჯიაჯაკ ჯაყელს ჰყავდათ სულ ცოტა 7 შვილი: ანდრონიკოს III, ტრაპიზონის იმპერატორი 1330-1332 წლებში; ბასილი – ტრაპიზონის იმპერატორი 1332-1340 წლებში; მიქაელ ანაჩოტლუსი, მოკლა მისმა ძმამ, ანდრონიკოს III-მ 1330 წელს; გიორგი აჩპოგასი, მოკლა მისმა ძმამ, ანდრონიკოს III-მ 1330 წელს; ანა ანაჩოუტლუ, მონაზონი, რომელიც გახდა ტრაპიზზონის იმპერატორი 1341-42 წლებში; ევდოკია, რომელიც გათხოვდა ადილ ბეგ იბნ იაკუბ კანდარიდეზე.

საგულისხმოა, რომ სწორედ მანუელის (რომელსაც ჰყავდა ქართველი მეუღლე რუსუდანი), იოანე II-ის (რომელსაც ჰყავდა ქართველი მეუღლე თეოდორა) და ალექსი II (რომელსაც ჰყავდა ქართველი მეუღლე ჯიაჯაკ ბექას ასული ჯაყელი) გავლენით იმერეთის მეფეები 1297 წლის შემდეგაც თავინთ ფულს კირმანოულეტას მსგავსად კირმანეულს ეძახდნენ

7. ირინე პალაიოლოგინა ტრაპიზონელი (1340-41) ანდრონიკოს III-ის არალეგიტიმური ქალიშვილი, რომელიც გათხოვდა ტრაპიზონის იმპერატორ ბასილიზე 1335 წელს, რომელსაც მალევე გაცილდა და ცალკეული წყაროებით მოწამლა კიდეც იგი 1340 წელს და ტახტზე ავიდა არაკომნენოსების კანონიერი მემკვიდრე. ამის შედეგად, ტრაპიზონში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომებს, რასაც თურქმენების შემოსევა მოჰყვა. წმ. ევგენის მონასტერში გახიზნულმა დიდებულებმა ალექსი II-ს და ჯიაჯაკ ჯაყელის ქალიშვილს, ანა ანაჩოუტლუს სთხოვეს ტახტზე ასვლა და მონაზვნის სამოსის დათმობა ლაზიკის დედოფლობის სანაცვლოდ.

8. ანა ანაჩოუტლუ მეგალე კომნენეს (1341, აღიდგინა 1341-42) ტახტზე ასვლაში დაეხმარა საქართველოს მეფე გიორგი V 1341 წლის 17 ივლისს.

9. ალექსი III მეგას კომნენოსი (1349-90) იყო ბასილისა და მისი მეორე მეუღლის, ირინეს ვაჟიშვილი და ჯიაჯაკ ჯაყელის შვილიშვილი, რომელმაც შეიცვალა თავისი

თავდაპირველი სახელი იოანე. გურიელებმა გრანდ კომნენენოსის ალექსი III-ს დროს გურია და ტრაპიზონი გააერთიანეს 1370 წელს.

10. მანუელ III მეგას კომნენოსი (1390-1416) იყო ალექსი III-ს ვაჟიშვილი. მან ცოლად შეირთო მისი უფროსი ნახევარ-ძმის, ანდრონიკოსის ქვრივი, საქართველოს მეფე დავით IX-ს ქალიშვილი, გულხან-ევდოკია (გარდაიცვალა 1395 წელს). მისი მეორე ცოლი იყო ბიზანტიელი დუკას ოჯახიდან ანა ფილანტროპონე; ამ დროს, 1387 წელს იქორწინეს ბაგრატ V და ანა კომნენოსმაც; ამავე პერიოდში კლავჯიო, რომელიც სპერში იმყოფებოდა 1405 წლის 4 სექტემბერს, აღნიშნავს, რომ სპერის მმართველი იყო "მუსლიმი ათაბეგი, ქართველი ჯაყელი".

11. ალექსი IV მეგას კომნენოსი (1416-1429) იყო მანუელ III-სა და ქართველი გულხან-ევდოკიას ვაჟიშვილი. თეოდორა კანტაკუზენესგან ალექსი IV-ს ჰყავდა სულ ცოტა 6 შვილი, რომელთაგან ორი იყო ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორები იოანე IV (1429-1459) და დავითი (1459-1461) იყვნენ;

12. იოანე IV მეგას კომნენოსი (1429-1459) მშობლებთან გართულებული ურთიერთობების გამო 1426 წელს იძულებული გახდა საქართველოში ეძია თავშესაფარი, სადაც მან ცოლად შეირთო მეფე ალექსანდრე I-ის (სხვა ცნობებით, გიორგი VII) ქალიშვილი. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ტრაპიზონში მისი პოზიციების გასაძლიერებლად. ამიტომ, 1427 წელს ის გადასახლდა გენუაში, საიდანაც ჯარით დაბრუნდა ტრაპიზონში 1429 წელს, მოიპოვა დიდებულების მხარდაჭერა და მიიღო კიდეც იმპერატორის ტიტული. 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მეჰმედ II-მ ტრაპიზონსაც შემოუტია 1456 წელს ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც. იოანე IV იძულებული გახდა ხარკზე დათანხმებულიყო 1458 წლის შეთანხმებით, თუმცა ამ ხარკის რაოდენობის გაზრდის შემდეგ მან გადაწყვიტა საოჯახო კავშირები გაება ოტომანებთან: მან ერთი ქალიშვილი მიათხოვა უზუნ ჰასანს, ხოლო მეორე - იტალიელ სიროსის ლორდს - ნიკოლო კრისპოს. ამავე დროს, დასავლეთის მხარდაჭერის მიზნით მან გააქტიურა ურთიერთობა რომის პაპთანაც. 1430-იანი წლების ბოლოს ტრაპიზონის მიტროპოლიტი შეუერთდა ბიზანტიურ სამღვდელოებას ბაზელ-ფერარა-ფლორენციის საბჭოზე. თუმცა, იოანე IV-ის პოზიცია მკვეთრად შესუსტდა იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო დაგროვებული ვალების გადახდა გენუის რესპუბლიკისადმი, რამაც გამოიწვია ბიზანტიურ-გენუის ალიანსი მის წინააღმდეგ. იოანე IV გარდაიცვალა 1459 წლის 22 აპრილს, რომლის შემდეგაც ტახტზე ავიდა დავითი, ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი. ქართველი მეუღლისგან იოანე IV-ს როგორც აღინიშნა, ჰყავდა ვაჟი, უფლისწული ალექსი (1455-63), რომელიც სიკვდილით დასაჯეს კონსტანტინოპოლში და ორი ქალიშვილი: თეოდორა, რომელიც გაათხოვეს აკ კოუნლუს უზუნ ჰასანზე და ევდოკია, რომელიც გაათხოვეს იტალიელ სიროსის ლორდზე, ნიკოლო კრისპოზე. თეოდორა, სხვა მონაცემებით, შეიძლება ყოფილყო იოანე IV-ს და და არა ქალიშვილი.

13. დავით მეგას კომნენოსის (1459-1461) - ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორისა და ალექსი IV-ს მესამე ვაჟიშვილის - პირველი მეუღლე მარიამ ბატონიშვილი იყო. დავითი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ კიდევ მისი ძმის, იოანე IV-ს იმპერატორობის დროს როგორც სახელმწიფო მოხელე და დიპლომატი.

კონსანტინოპოლის დაცემის შემდეგ 1453 წელს დავითმა განსაკუთრებით გააქტიურა ურთიერთობები და ალიანსი საქართველოსა და აკ კოუნლუს უზუნ ჰასანთან, რომელსაც, როგორც აღინიშნა, მისი დედით ქართველი ქალიშვილი ჰყავდა ცოლად. ამან გააღიზიანა მეჰმედ II, რომელმაც იერიში მიიტანა ტრაპიზონზე. მეჰმედ II-ის სარდლის, მაჰმუდ ფაშასა და დავითის მაღალჩინოსნის (თანამედროვე გაგებით, პრემიერ-მინისტრის), გიორგი ამირიძის (Amouritzes) მოლაპარაკების შედეგად, მისი და მისი ოჯახის სიცოცხლისა და საიმპერატორო ქონების შენარჩუნების ფასად, დავითმა დატოვა ტრაპიზონი და ტრასეში (თჰრაცე), ადრიანოპოლში გადასახლდა. ამის შემდეგ ის მაინც განაგრძობდა ურთიერთობებს ქართველებთან და უზუნ ჰასანთან, რის გამოც მეჰმედ II-მ ის თავის ძმისშვილთან (იოანე IV-ს დედით ქართველ უფლისწულთან, ალექსისთან) და სამ ვაჟიშვილთან ერთად სიკვდილით დასაჯა კონსტანტინოპოლში 1463 წლის 1 ნოემბერს.

ცნობილია, რომ დავითის მეორე მეუღლე ელენე დედოფალი 1461 წელს საქართველოში გურიელთან, თავის სიძესთან გაემგზავრა დახმარების სათხოვნად. საბოლოოდ კი დავითისა და მისი ვაჟიშვილების ქრისტიანული წესით დაკრძალვის გამო უზუნ ჰასანის კარზე თავშეფარებული ქვრივიც სასტიკად დასაჯა სულთანმა. უზუნ ჰასანის კარზე თავშეფარებული იმპერატორ დავითის ძმისწულიც (ალექსანდრეს ძე?) საქართველოდან ელის დახმარებას, რომელსაც 1472 წელს ქართველების მხარდაჭერით ტრაპიზონის გათავისუფლება უცდია, მაგრამ ამაოდ (ნინიძე, 1997: 85-86).

მხოლოდ და მხოლოდ დავითის ერთადერთი ვაჟი - გიორგი გადაურჩა სიკვდილს პატარა ასაკის გამო, რომელიც იმპერიის დაცემისას მხოლოდ 3 წლის იყო. მან ჯერ მუსლიმობა მიიღო და უზუნ-ჰასანს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ საქართველოში გაიქცა, სადაც, როგორც აღინიშნა, მას და ჰყავდა გათხოვილი. გიორგი ქრისტიანობას დაუბრუნდა, ქართველი მთავრის ასულზე დაქორწინდა და შთამომავლობაც გაუჩნდა. მისი და მისი მემკვიდრეების ბედი შემდგომში უცნობია (ნინიძე, 1997:113).

ერთი კი ცნობილია, რომ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით დღეს ქართველი ანდრონიკაშვილები მიჩნეულნი არიან კომნენოსების საიმპერატორო გვარის შთამომავლებად. არსებობს მოსაზრება, რომ ანდრონიკოს I-ის შვილი ალექსი, რომელიც თან ახლდა მას საქართველოში მოგზაურიბისას, დარჩა კიდეც საქართველოში და მან დაუდო საფუძველი ანდრონიკაშვილების გვარს.

დავითის მემკვიდრეობა ფაქტიურად გააგრძელა მისმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა, რომელიც დავითის უახლოეს მოკავშირეს, ქართველ მამია გურიელს მითხოვდა ცოლად. ა. ბრაიერი წერს: "მამია გურიელი დავითის (ტრაპიზონის უკანასკნელი გრანდ კომნენოსის) მოკავშირე იყო 1459 წელს... როგორც ჩანს, გურიის ბატონიშვილი დაკრძალულია ტრაპიზონის ჰაგია სოფიასთან" (ბრაიერი,1988: 70).

ამგვარად, ისტორიისათვის დამახასიათებელი ტრაგედიითა თუ ირონიით, დედით ქართველთა ტრაპიზონის იმპერატორთა მემკვიდრეობა უკანასკნელი კომნენე ქალბატონის, დავითის უცნობი ქალიშვილისა და ტრაპიზონის უკანასკნელი დედოფლის სახით კვლავ თავის წიაღს, გურიელების მეშვეობით ისევ ქართველი

ბაგრატიონების გვარს დაუბრუნდა, ხოლო გურიელთა დინასტიის მეთაურის, მამია გურიელისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის, იმერთა სოლომონ II ბაგრატიონის ძვლები ტრაპიზონმა მიიბარა საუკუნოდ.

საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანი, წმინდა სოლომონ II (გამეფებამდე დავით არჩილის-ძე) დაიბადა 1772 წლის 7 (20) თებერვალს. მამამისი, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (+1784), ძმა იყო. დედა - ელენე, კი ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის (+1798) ასული. დავითი, ძირითადად დედულეთში იზრდებოდა. ბიბლიური დავითის მსგავსად, უფალმა ისიც ბავშვობაში გამოარჩია და უმემკვიდროდ დარჩენილმა, იმერეთის მეფე სოლომონ I-მა, ღვთის განგებით, სიცოცხლეშივე უანდერძა ტახტი. დავითი იზრდებოდა, როგორც მომავალი მეფე, სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მაძიებელი და თავისუფლებისთვის მებრძოლი. თორმეტი წლის იყო დავითი, როდესაც იმერეთის მეფე, სოლომონ I გარდაიცვალა. მეფის ანდერძის საწინააღმდეგოდ, იმერეთის გავლენიანმა ფეოდალებმა, მცირეწლოვანი დავითის, არჩილის ძის ნაცვლად, ტახტზე დავით გიორგის ძე (მეფე დავით II) აიყვანეს. გარდაცვლილი მეფის ანდერძის უგულებელყოფამ, მღელვარება გამოიწვია ხალხში. ახალი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო თავადები, ცდილობდნენ სოლომონ I-ის ანდერძისამებრ, იმერეთის სამეფო ტახტზე, დავით არჩილის-ძე დაესვათ. სამწუხაროდ, ეს სასიკეთო მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.1790 წელს მათხოჯთან გამართულ ბრძოლაში, მეფე დავით II დამარცხდა და ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე - წმიდა მეფე სოლომონ II. მეფემ აქტიურად დაიწყო ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლა, მან ცოლად შეირთო, ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის და მარიამ კაცის ასული, მის სამეფოში შედიოდა გურიის სამთავრო და ქართლ-კახეთის სამეფოსთან სისხლით ნათესაობა აკავშირებდა. წმიდა სოლომონ II-ის მოძღვარი იყო, წმიდა ილარიონ ყანჩაველი. მათმა სულერმა კავშირმა და ერთნაირმა სახელმწიფოებრივმა მსოფლმხედველობამ, განაპირობა სამეფოში ბევრი სასიკეთო ცვლილებები. სარწმუნოებრივი და სახელმწფოებრივი აზროვნების განვითარებისა და განმტკიცების მიზნით, მეფემ გააძლიერა ეკლესია და დააწინაურა ღირსეული ადამიანები. მეფე სოლომონ II საკუთარი მამულებით აჯილდოვებდა ქვეყნის ერთგულ თავადებს, დაუმტკიცა იერუსალიმის ეკლესიას იმერეთში მამულები და გადასახადები განუახლა გუჯარი ბიჭვინთის ეკლესიას. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, იმერეთის სამეფოს მიერთებასაც. გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი წმიდა სოლომონი, კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის გათავისუფლებისა და გაერთიანების იდეა, ნელ-ნელა იმსხვრეოდა ისტორიულ სინამდივლესთან შეჯახებით, სოლომონი ცდილობდა, თავისუფლება შეენარჩუნებინა იმერეთის სამეფოსთვის, წმიდანის პოლიტიკური ლავირებები რუსეთსა და ოსმალეთ შორის, წარუმატებლად დამთავრდა. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ბრძანებით, 1810 წლის 20 თებერვალს, წმიდა სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდეს და

იმერეთში რუსეთის მმართველობა გამოცხადდა. წმიდა სოლომონ II, მოტყუებით შეიპყრეს და თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ, მეფემ მოახერხა გაქცევა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. საიდანაც ხელმძღვანელობდა, ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1810 წლის იმერეთის აჯანყება, რუსეთის მთავრობამ კვლავ სისხლში ჩაახშო და წმიდა სოლომონ II-მ, კვლავ ახალციხეს შეაფარა თავი, ახალციხეში გადახვეწილი სოლომონი, არ წყვეტს ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მინდა სოლომონი ახლციხიდან გადადის ოსმალეთში, სოლომონმა შვიდი წელი იცხოვრა ქალაქ აზმურში, შემდეგ კი ტრაპიზონში გადავიდა, სადაც პატივით მიიღო იქაურმა ფაშამ, წარმოშობით ქართველმა თავადმა, საიდანაც ოსმალეთის, ირანისა და საფრანგეთის დახმარებას ეძიებს, მაგრამ, სწორედ ამ დროს, მისთვის არასასიკეთოდ ვითარდება პოლიტიკური მოვლენები: 1811 წლის 6 იანვრით დათარიღებულ წერილში, იგი დახმარებას სთხოვს ნაპოლეონს, მაგრამ ეს წერილი უპასუხოდ რჩება. 1812 წლის რუსეთ-თურქეთის ზავის (ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება) პირობებში, არაფერია ნათქვამი, იმერეთის მეფის უფლებების აღდგენაზე, 1813 წლის რუსეთ-ირანის ზავით (გულისტანის საზავო ხელშეკრულება) კი, მთელი საქართველო, რუსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა.

ამგვარად, მისმა ძალისხმევამ, ნაყოფი ვერ გამოიღო. სოლომონ II-მ დარდსა და სიდუხჭირეს ვეღარ გაუძლო და 1815 წლის 7 თებერვალს, 41 წლის ასაკში, მეფობის 25-ე წელს გარდაიცვალა.

უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი, ინგლისელ ისტორიკოს ენტონი ბრაიერის ცნობით, ტრაპიზონელმა ლაზებმა დაიტირეს. მათ სოლომონ II, წმ. გრიგოლ ნოსელის ბერძნული ეკლესიის გალავანში დაკრძალეს და საფლავს,წარწერა გაუკეთეს: ,, განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვერ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვ შენდობას. თებერვლის 7, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე”.

დღეისათვის არც წმ. გრიგოლ ნოსელის ტაძარი და არც საფლავი აღარ არსებობს - 1963 წელს ქალაქის განაშენიანებას შეეწირა. იმ ადგილას, სადაც სოლომონ II-ის განსასვენებელი იყო, ახლა სკვერია. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი იხსენებს: 1990 წლის შემოდგომა იდგა, მისმა უწმინდესობამ ილია II ქუთათელ - გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) და ბათუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ დავით შიოლაშვილს მეტად საპასუხისმგებლო საქმე დაავალა, უნდა გამგზავრებულიყვნენ თურქეთის რესპუბლიკაში და გადმოესვენებინათ იმერეთის მეფე სოლომომ II ნეშტი. ჩასვლისთანავე მეუფე კალისტრატე დაჟინებით ითხოვდა ქართველი მეფის

საფლავზე პანაშვიდის გადახდას, რომელიც ქალაქში საცხოვრებელ სახლებს შორის იყო მოქვეული. მეუფე კალისტრატეს უთხრეს, რომ პანაშვიდის გადახდა გარკვეულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ისინი (თურქეთის ხელისუფლება) უსაფრთხოების გარანტიას არ აძლევდა. გაფრთხილების მუხედავად, მეუფის დაჟინებული მოთხოვნით მეფის ძვალშესალაგთან, დაძაბულ გარემოში მეუფემ დაიწყო პანაშვიდის აღსრულება. ხელისუფლების წარმომადგენელი ითხოვდა დაჩქარებას, გარშემო მყოფი სახლებიდან დაიწყო მოსახლეობამ შეკრება, მეორედ გაფრთხილების შემდეგ, მეუფემ ხატები და სანთლები დაურიგა მოსახლეობას, ჟანდარმერიამ ალყა შემოარტყა მეფის საფლავს და იარაღის დამიზნებით იმუქრებოდნენ ცეცხლის გახსნით. მსახურება მეუფემ დიდი გმირობით დაასრულა. სწორედ ამ სკვერიდან, 1990 წლის 30 ოქტომბერს გმირი მეფის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს. ჯერ ბათუმში ჩამოასვენეს, შემდეგ ახალციხის გავლით თბილისში ჩამოაბრძანეს, საიდანაც ხელით გადაასვენეს სიონში. სიონში შესრულდა დიდი პანაშვიდი, ხოლო შემდეგ გადაასვენეს სვეტიცხოველში, საიდანაც უკვე გაემგზავრა ქუთაისისაკენ და მისი ნეშტი, გელათის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. საქრთველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II–ს ქადაგება, სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენების დღეს: "მეფე სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენება არ არის უბრალო ფაქტი, მე ვფიქრობ, რომ მას ღვთისაგან ბოძებული დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს უკანასკნელი მეფის დაბრუნებით, ჩვენს ქვეყანასაც დაუბრუნდება ღვთის მადლი. ამინ“.

ტრაპიზონი ეს იყო „რუმების", ანუ მართლმადიდებელი ქრისტიანების ქალაქ-ქვეყანა, "სადაც ქრისტიანულად ლაპარაკობდნენ" (ასე განუმარტავდა სანტას ერთი მცხოვრები პროფ. ა. ბრაიერს 1969 წელს. (ბრაიერი, 1988: გვ. 27), რომელიც დაუპირისპირდა წარმართულ ელინურ და კათოლიკურ ლათინურ სამყაროს და სადაც ერთმანეთში აირია ლაზურ-ჭანური, ერთ დროს ქართული, შემდგომ ბერძნული, სომხური, რუსული და თურქული. აქვე აღსანიშნავია, რომ ისტორიულად იმდენად დიდი იყო ქართველთა გავლენა ტრაპიზონის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ სარბიელზე, რომ ოტომანურ ტრაპიზონშიც მმართველები, როგორც წესი, ქართული წარმოშობის მაჰმადიანები იყვნენ, რის შესახებაც დაწვრილებითაა გადმოცემული ზ. ბატიაშვილის ნაშრომში “ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში“. XIX საუკუნის ჩათვლით აქ ადგილი ჰქონდა ლაზების შეუპოვარ წინააღმდეგობას არსებული მმართველობის წინააღმდეგ, რაც დეტალურად აქვს გადმოცემული პროფ. ა. ბრაიერს. კერძოდ, ამ პერიოდში ტრაპიზონსა და მის შემოგარენში მოხდა სამი შეიარაღებული აჯანყება ოტომანური რეჟიმის წინააღმდეგ. მართლმადიდებლობასთან ერთად, ტრაპიზონის წინააღმდეგობის ძირითადი ფაქტორი იყო ე.წ. ”ლაზური ფაქტორი", ქართული გავლენა პონტოზე და მეზობელი

საქართველოს აწ უკვე გაუქმებული სამეფო კარის მემკვიდრეთა იმედი მოკავშირეობაზე, რომელიც საბოლოოდ დაიმსხვრა სოლომონ II-ის გარდაცვალებასთან ერთად. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ თვითგადარჩენის მიზნით სასოწარკვეთილ ქართველთა ერთი ნაწილი კათოლიკობას დაუკავშირდა, რომელთა რაოდენობა იმდენი ყოფილა, რომ რომის პაპს მათთვის ტრაპიზონში ეკლესიაც კი აუგია, მეორე - მართლმადიდებლობის შენარჩუნების მიზნით გაბერძნებულა, მესამეს გრიგორიანელობა მიუღია და მეოთხე - გამაჰმადიანებულა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას დაუკარგავს ქართული ენა, გადაგვარებულა და თავიანთი ქვეყნის წინაშე ეროვნულადაც დაკარგულა. ერთადერთი გამონაკლისი ყოფილა ქართველი ებრაელობა: ”ტრაპიზონში ქართული ენა შეინარჩუნეს მხოლოდ ქართველ ებრაელებმა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველადგანვე. აღსანიშნავია, რომ ქართველი ებრაელები დღესაც ცხოვრობენ თურქეთში და როგორც ებრაელები, ისინი ქართულ გვარსაც ატარებენ, განსხვავებით ყველა სხვა ”ტიპის" ქართველებისაგან (გამონაკლისია კათოლიკე ზაზაძეების გვარი სტამბულში). საკმარისია ითქვას, რომ ჩიკვაშვილების ფინანსური ჯგუფი უმძლავრესი იყო თურქეთში 1980-იან წლებში, რომლებიც თავიანთი კაპიტალით აშშ-ში გადასახლდნენ საცხოვრებლად (ჭიჭინაძე, 1960: 80]).

ამგვარად, საუკუნეების განმავლობაში, წლიდან წლამდე იკარგებოდა ტრაპიზონში ქართული რელიგიური თუ პოლიტიკური გავლენა და კულტურული მემკვიდრეობა. ჭიჭინაძის აზრით: ”XVII საუკუნის გასვლამდის ტრაპიზონში მოისპო ქართველთა ყოვლისფერი ძალოვნება, მოისპო ქართველთ შორის სჯული, მას მიჰყვა ქართული ენის დაკარგვაც, მოისპო ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა რიცხვი, ხელოვნების და თვით მოხელეების. ამეების მოსპობას მოჰყვა მოსპობა სამღვდელოებისაც და მოკლე დროის განმავლობაში ტრაპიზონში მოისპო ქართული საყდრები და ქართველი სამღვდელოება და თვით ქართლის სულის მქონე ეპისკოპოსის კათედრაც ქართველების ყოველივე გაქრა ტრაპიზონში... ტრაპიზონში, ქართველი ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი“.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 878- 1881 წლებში, როდესაც ასეული ათასობით ბათუმელი და ქობულეთელი ქართველი მუსლიმი მიგრანტი მოაწყდა მხარეს (ბედის ირონიით, სწორედ ორდუში, უნიასა და ფაცაში) და თავისი ხელი კიდევ ერთხელ `დაატყო არა მარტო ქალაქს, არამედ მთელ მხარესა და ქვეყანა.

V თავი: ტრაპიზონის მართლმადიდებლური ხელოვნება

300 წელს (სხვა ვერსიით 292 წლის 21 იანვარს) ევგენიოსმა რომელიც ჯარისკაცად მსახურობდა, მეგობრებთან (კანდიდოსი, ვალერიანე და აკილა) ერთად დაამსხვრია ანტიკურ ტრაპიზონში არსებული მითრას კერპი. იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს - მას თავი მოჰკვეთეს. ამავე დროს სიკვდილით დასაჯეს მისი ორი მეგობარი და ყველა ქრისტიანი ჯარისკაცი. თავდადებული ჯარისკაცი მოგვიანებით წმინდანად შერაცხეს. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I (527-565) წმიდა ევგენიოსის სახელზე აკვედუკი და ტაძარი ააგო. (წმ. ევგენიოსის სახელობის აკვედუკმა მოაგვარა ქალაქის წყლით მომარაგების პრობლემა და მე- 20 საუკუნის დასაწყისამდე მყარად ფუნქციონირებდა.) ამ ტაძარში დღეს იენი -ჯუმას მეჩეთია. ეკლესია მდებარეობს იენი ჯუმას უბანში, ამავე დასახელების პროსპექტისა და ჩიხის გადაკვეთის ადგილას. ტაძარი ბაზილიკური ტიპის იყო სავარაუდოდ XIV საუკუნეში გადაკეთდა ჯვარგუმბათოვნად. გუმბათი ეყრდნობა ოთხ მძლავრ ბოძს, მას მაღალი ყელი აქვს. ტაძრის შიდა სივრცე სამნავიანია, საკურთხევლის აფსიდი გარედან ხუთწახნაგაა, შიგნით ნახევარწრიული. დღეისათვის შიდა სივრცე შეთეთრებულია და ფრესკებისა და მოზაიკის კვალი აღარ იკითხება. აღმოსავლეთის შუა აფსიდის გარე ფასადზე გამოსახულია არწივი და მტრედი. გადმოცემის თანახმად სულთან მეჰმედ ფათიჰს ანუ დამპყრობელს, პირველი პარასკევის ნამაზისთვის გადაუკეთებია მეჩეთად. ზეპირი გადმოცემით წმ. ევგენიოსის ეკლესიის ახლოს, ქუზუნდერეზე მდებარეობდა მცირე ზომის წმ. გიორგის (ჰიდრელიზი) ეკლესია. 1916 წელს წმ. ევგენიოსის ტაძრის საკურთხეველი შეისწავლა მეცნიერმა თ. უსპენსკიმ. ამ ფაქტს ადასტურებს მკვლევარი ოზჰან ოზთურქი. როგორც თავად მეცნიერი წერს აქ მან აღმოაჩინა წმ. ევგენიოსის, კანდიდოსის, ვალერიანეს და აკილას წმიდა ნაწილები. სიწმინდე სხვა უამრავ განძთან ერთად რუსეთში გაიგზავნა. წმ. ევგენიოსი ტრაპიზონის მფარველად ითვლება, ხსენების დღე 21 იანვარია .

პირველი მსოფლიო ომის დროს ტრაპიზონში გაიგზავნა რუს მეცნიერთა ჯგუფი. ექსპედიცია მოეწყო კონსტანტინეპოლის იმ რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტის სახსრებით რომელიც რუსეთის საზღვრებს გარეთ ერთადერთი იყო 1894 წლიდან. 1914 წელს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, თურქეთის ხელისუფლებამ დახურა ეს ინსტიტუტი. ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი იყო გამოჩენილი მეცნიერი, ბიზანტიოლოგი, აკადემიკოსი ფიოდორ ივანოვიჩ უსპენსკი, იგი ხელმძღვანელობდა ასევე 1916 წელს ტრაპიზონის რუსულ არქეოლოგიურ ექსპედიციას რომლის მიზანი იყო ბიზანტიის იმპერიის ბოლო პერიოდის უნიკალური მასალის შესწავლა.

ადრებიზანტიურ პერიოდს ეკუთვნის ასევე იმპერატორ კნსტანტინე დიდის ნათესავის, კაბადოკია-პონტოს მმართველ ჰანიბალის მიერ აგებული ხრისოკეფალოსის ეკლესია. ღმრთისმშობლის (პანაგია ხრისოკეფალოს) ეკლესია მდებარეობს ორთა ჰისარის უბანში ზაღნოსისა და თაბაქჰანეს ხიდებს შორის მდებარე მოედანზე. ეკლესია სამსართულიანია და სამიტროპოლიტო ცენტრს წარმოადგენდა. 336 წელს აგებული თავდაპირველი ტაძარი XIV საუკუნეში განუახლებია ალექსი III კომნენოსს. 1461 წელს ოსმალებმა ტაძარი ფათიჰის იგივე ორთაჰისარის მეჩეთად გადააკეთეს. კონსტანტინე დიდის დროინდელი ტაძარი ბაზილიკური ყოფილა, შემდგომ გადაკეთდა ჯვარგუმბათოვნად. ეკლესიის გუმბათი მთლიანად ოქროსი ყოფილა აქედან მომდინარეობს სახელი ,, ხრისოკეფალოს“ ანუ ,, ოქროს თავი“. პანაგია ხრისოკეფალოს ტაძარში ტარდებოდა ტრაპიზონის იმპერატორთა კურთხევის ცერემონია, აქვე ხდებოდა იმპერატორთა დაკრძალვა. დღეისათვის ამ გრანდიოზული მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაცია მიმდინარეობს. სამწუხაროდ ტაძარზე აღარ გვხდება ფასადის არანაირი დეკორის კვალი, დიდი მონდომებით არის ტაძრის შიდა სივრცე შეთეთრებული თუ არ ჩავთვლით კამარაზე მაგალითისთვის სპეციალურად დატოვებულ, რამდენიმე მოზაიკის მცენარეული დეკორის ფრაგმენტს. ტრაპიზონის ეს განსაკუთრებული, ხუროთმოძღვრული სიმდიდრე როგორც ჩანს სრულად იყო მოზაიკური ფრესკებით დამშვენებული, რადგან მოზაიკური დეკორის მცირე ფრაგმენტები დატოვებული აქვთ დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთი მკლავის კამარებზე. რესტავრატორებს მეორე და მესამე სართულებზე დასაკავშირებლად დაუდგამთ ხის კიბის კონსტრუქცია რიკულებიანი მოაჯირით რომელსაც აზიური ხასიათი აქვს. პანაგია ხრისოკეფალოს ტაძრის იატაკს საკურთხევლის გარდა რომელიც ძლიერ დაზიანების გამო ფიცრებით არის დაფარული, ამშვენებს ულამაზესი მოზაიკური დეკორი. საბედნიეროდ ამ ულამაზესი წრეებითა და ვარდულებით დამშვენებული იატაკის ნახვა რესტავრაციის შედეგად შესაძლებელია უხვად განათებული, სპეციალურად შექმნილი მინის იატაკის ქვეშ. ფიცრებით შეჭედილი ღრმა საკურთხევლის აფსიდის იატაკი როგორც ჩანს გაძარცვეს და ძლიერი დაზიანების გამო აღარ შემინეს. დღეს ეს უდიდესი ტრაპიზონული

კათედრალი მეჩეთად არის გადაკეთბული და ულამაზესი მოზაიკური დეკორი სრულად ხალიჩით არის დაფარული.

ტრაპიზონის სამხრეთით ღმრთისმშობლის ,,მერიემანა“ ხეობაში ციცაბო კლდეზე 386 წელს ორმა ბერმა სოფრონმა და ბარნაბამ ლეგენდის თანახმად სუმელას მონასტერი დააფუძნა. VI საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ ამ ადგილზე მონასტერი კლდეში გამოკვეთა, თუმცა მას თავისი ახლანდელი ზომებისთვის XIV საუკუნეში ტრაპიზონის იმპერიის დროს მიუღწევია. სუმელას მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ კედელს დღემდე ამშვენებს მანუელ III -ის, მამამისის ალექსი III -ის და ალექსი III -ის ვაჟის, ანდრონიკეს ულამაზესი ფრესკები.

მონასტერი 1850 წელს მოინახულა მეცნიერმა და მოგზაურმა ფინლეიმ. იგი აღწერს, რომ სუმელაში სამონასტრო ცხოვრება ოსმალურ პერიოდშიც გრძელდებოდა. სხვადასხვა დროს მონასტერს ფაშები და სულთნები სტუმრობდნენ და ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ. ავტორი წერს, რომ მონასტერში ბერები ბერძნულზე უკეთ თურქულს ფლობდნენ. ფინლეი მათ ათენური ბერძნულით ელაპარაკებოდა, ბერები კი ტრაპიზონული დიალექტით ესაუბრებოდნენ. XX საუკუნის 10- იან წლებამდე მონასტერში ასამდე ბერი ცხოვრობდა, ამას ადასტურებს დღემდე დაცული შავ-თეთრი ფოტოები. მონასტერი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაცარიელდა. 1923 წელს სუმელას ტაძრის ბერ-მონაზვნობა ტრაპიზონის სანტა მარიას კათოლიკურ ეკლესიამ შეიფარა, იქედან კი იტალიური გემით საბერძნეთში გადავიდნენ. ტრაპიზონში წმიდა ბარბარეს ეკლესიაში გადამალული სუმელას ღმრთისმშობლის ხატი ერთმა მღვდელმა თურქეთიდან მოგვიანებით გაიტანა (ბატიაშვილი, 2013: 103-104). 1952 წელს ჩრდილოეთ საბერძნეთში კერძოდ ვერიაში აშენდა ახალი სუმელას მონასტერი სადაც დაბრძანებულია სუმელას სასწაულმოქმედი ხატი და ტრაპიზონის იმპერატორის მანუელის შეწირული მოვერცხლილი ჯვარი.

III- IV სს. თარიღდება ტრაპიზონის სამხრეთით 48 კმ-ში მდებარე ვაზელონის წმ. იოანეს სახელობის მონასტერი. დამაარსებლის ვინაობა უცნობია, მონასტერი შეკეთებულია იმპერატორ იუსტინიანეს დროს, გარშემო გაუვალი ტყეა, მონასტერი კლდეშია ნაკვეთი. ტაძარში კარგად არის შემონახული მხატვრობა. 1923 წელს აქაურობა დაცარიელდა. V საუკუნისაა ასევე კლდეში ნაკვეთი წმიდა სავას ტაძრები ბოზთეფეს ფერდობზე. დამაარსებლად მიჩნეულია წმ. სავა (საბა). 1411 წელს ტაძარი, მრავალჯერ გადაკეთბულია მაგრამ შემორჩენილი აქვს ფრესკები.

V-VI საუკუნეებით თარიღდება ფაზარქაფის უბანში წმ. ანდრიას სახელობის სამნავიანი ბაზილიკა. ტაძარში ამჟამად სია მოლას მეჩეთია. ტაძარი გადათეთრებულია ისევე როგორც სხვაგან არც აქ აღარ შემორჩა ფრესკების კვალი.

წმ. ანას, იგივე მცირე წმ.ბასილის ეკლესია ქაჰრამანმარაშის პროსპექტზეა. იგი სამნავიანი ბაზილიკაა. ნავები შიგნიდან და გარედან მრგვალია. იგი ქალაქის ერთ-

ერთი ძველი სამლოცველოა (აგებულია V ან VII საუკუნეში). სამხრეთ შესასვლელზე არსებული 884-885 წარწერა იუწყება, რომ ეკლესია შეუკეთებიათ ბასილ I-ის დროს. ეკლესიაში შეხვდებით უფრო გვიანი პერიოდის ფრესკების ნარჩენებს (ფრესკების პირველი ფენა სავარაუდოდ IX საუკუნეს , შემდგომი ფენები კი XVI-XV საუკუნეებს ეკუთვნის). კარის თავზე განთავსებულია დიდი ზომის მოთეთრო-მოყვითალო ქვა ანგელოზების და ჯარისკაცების გამოსახულებით. მცირე ზომის მყუდრო ტაძარი ქალაქის ცენტრში კრამიტითაა გადახურული.ეკლესიას 1999 წელს რესტავრაცია ჩაუტარა ტრაპიზონის სამხარეო ადმინისტრაციამ. საინტერესოა ჩამწკრივებულ სვეტებზე დაყრდნობილი გალერეები. შიდა სივრცეს ჰყოფს ერთი წყვილი სვეტი და ნავების გამოყოფა ხდება ერთი ნახევარწრიული თაღის მეშვეობით, რომელიც ძალიან სპეციფიკურია ესეთი ნალისებური თაღები ჩრდილოეთით და სამხრეთით ქართულ ხუროთმოძღვრებაში ნაკლებად არსებობს, მხოლოდ გვხვდება გურჯაანის ყველაწმინდაში. შუა ნავი მაღალია გვერდითებზე. ნავები გადახურულია თაღოვანი კამაროვანი გადახურვით. ტაძარი ნახანძრალია რის გამოც ფრესკები კარგად არ იკითხება. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმა მაცხოვართან ერთად, რომელსაც მიეახლება მავედრებელი მდგომარეობით ადგილობრივი ფეოდალი, დიდგვაროვანი, რომელიც სავარაუდოდ ქტიტორი უნდა იყოს. დასავლეთ კედელში, მარჯვენა მხარეს უნდა იყოს გამოსახული დღე განკითვის სცენა, ფრესკები ძლიერ დაზიანებულია სახურავიდან ჩამოდენილი წყლით. ფრესკები სამწუხაროდ სპეციალურად დაკეპილია ცულით რის გამოც რთულდება წაკითხვა. შემოსასვლელი კარის მარჯვენა მხარეს გამოსახულია მაცხოვრის გარდამოხსნის სცენა, სადაც წარმოდგენილია ღვთისმშობელი, მაცხოვარი და მენელსაცხებლე დედები. ტაძრის შიდა სივრცე უხეშად შელესილია ბათქაში, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოვარდა და ჩამოიყოლა ფრესკის ნაწილიც. ფრესკული ხელოვნების ფერთა გამა წარმოდგენილია, ლაჟვარდისებური ცისფერი, მოყავისფრო, მოწითალო ტონალობა. რაც შეეხება სვეტების რელიეფურ დეკორს, სვეტების ბაზისები დაზიანებულია ერთში საკმაოდ მეორეში ნაკლებად, მაგრამ კარგადაა შემონახული სვეტის თავები, რომელიც გვიანდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, იმიტომ რომ მოუხეშავია და რენესანსულ სტილს არ ავლენს. ტაძარს აქვს ძალიან სპეციფიური სამი ნიშაში ჩადგმული სარკმელი, რომელიც სამ წრიულ ფორმაში არის მოქცეული. ასეთი სარკმლები დამახასიათებელია ბიზანტიურ სელჯუკური სტილისთვის, რომელსაც გავლენა აქვს ადგლობრივ ტრაპიზონულ ხელოვნებაზე. საკურთხეველში სამი სარკმელია სამხრეთით ორ-ორი. სარკმლები აქვს მეორე სართულზეც ერთი დასავლეთ კედელზე და ორ-ორი ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე.

752 წლით თარიღდება პერიპტერას წმ. გიორგის მონასტერი. ტაძარი შიმშირლისთან მდებარეობს ტრაპიზონის სამხრეთით 36 კმ-ში. დამაარსებლის ვინაობა

უცნობია. სამონასტრო კომპლექსი 300 მეტრიან კლდეზეა ნაკვეთი და საბერძნეთის მეტეორას გავს. 1923 წელს მონასტერი დაცარიელდა.

იმპერიის გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის 1306 წელს აშენებული წმ. იოანეს სახელობის ეკლესია ჰიზირბეის უბანში, კალედიბის დაწყებითი სკოლის გვერდით რომელიც 1856 წელს განაახლა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია, გუმბათი ეყრდნობა ოთხ მძლავრ სვეტს. დღეს გოგონათა სამუსლიმანო სასწავლებლადაა გადაკეთებული. აქაც ფრესკების და დეკორის კვალი წაშლილია.

1341-1342 წწ. ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი III -ის ქალიშვილს, ანა კომნენოსს აუგია დიდებული ტაძარი ქალაქის მნიშვნელოვან დასახლებაში. ანა კომნენოსი 1367 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ მეხუთის მეუღლე გახდა. ტაძრის მრავალწახნაგა, მაღალყელიანი გუმბათი ქართული ხასიათისაა. კედლები გადაკეთების დროს აქვთ გახეხილი და შემდგომ თეთრად გადაღებილი. დეკორის კვალი, გადარჩენილია მხოლოდ გუმბათზე. ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავები ჩამოჭრილია და სხვა შენობად არის გადაკეთბული. საკურთხევლის აფსიდის ნაწილზე გზა გადის. მართლმადიდებლურ ტრაპიზონში პანაგია ხრისოკეფალოს ეკლესიის მეჩეთად გადაკეთების შემდეგ საკათედრო ტაძარი წმ. ფილიპეს ეკლესია გახდა. 1665 ან 1674 წლიდან ისიც ქუდრეთინის მეჩეთია.

1376 წელს დასრულდა პანაგია თეოსკეპასტოს დედათა მონასტერი. ტაძარი ქალაქს გადმოჰყურებს. ტაძარი დააარსა იმპერატორმა ალექსი III -მ. ეს კლდეში ნაკვეთი ტაძარი დამშვენებულია წარწერებით და ფრესკებით. გვხდება ტაძრის მაშენებელი იმპერატორის მეუღლის - თეოდორას და დედის - ირინას გამოსახულებები. აქვე განისვენებენ ალექსის შვილები ანდრონიკე და მანუელი. 1843 წელს გაფართოვდა და განახლდა ტაძარი და დაემატა შესასვლელთან ერთაფსიდიანი ეკლესია. მონასტერი მოქმედებდა 1923 წლამდე.

ტრაპიზონის დაკარგული, მართლმადიდებლური ხელოვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია წმ. გრიგოლ ნოსელის სახელობის დიდი ზომის ტაძარი ზღვის პირას, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ტიმოთე გაბაშვილის ინფორმაციით, ტაძარი აგებული იყო დიდი კაბადოკიელი მამის, გრიგოლ ნოსელის სახელზე. იგი მოგვითხრობს -- ,, და გარდავხედით რა ზღვით, წარუვლინენით არქიდიაკო ჩვენი წინაშე მიტროპოლიტისა ტრაპეზუნტისა მომკითხავად.“

ნაწარმოებში კარგად ჩანს ადგილობრივ სასულიერო პირთა დამოკიდებულება და განწყობა ქრისტიანი ძმების მიმართ გვიან შუასაუკუნეების ტრაპიზონის იმპერიაში - ,,განვისვენეთ მუნ რა არამცირედისა ჟამისა, აღვედით ხილვად ყოვლად სამღვდელოსა ანანია ტრაპიზონელისა, ვინაი წინამოგვეგება კაცი ყოვლითავე ქცევითა

პატიოსანქმნილი და შემკობილი, უცხოსმოყვარებისა მადლითა მდიდრად აღვსებული.“

ტიმოთე გაბაშვილის ამ საინტერესო ნაწარმოებში იგრძნობა გათურქებული ქალაქის მართლმადიდებლური ხელოვნების მძიმე მდგომარეობა - ,, და ინება ჩვენ მიერ მსხვერპლისა შეწირვა ხარისხსა თვისსა საყდარსა წმიდისა გრიგოლი ნოსელისასა, რამეთუ აია-სოფია ტრაპეზუნტისა და სხვანი მრავალნი ეკლესიანი თურქთა დაეპყრნეს. და ვიყავით მუნ მღვდელმთავრისა მიერ და ერთა ქალაქისათაგან ფრიადსა პატივსა“(გაბაშვილი, 1990 : 126).

XX საუკუნის შუა პერიოდში ეს მნიშვნელოვანი ტაძარი დაანგრიეს. ტაძრის წარწერებში მოხსენიებულნი ყოფილან იმპერატორები დიოკლეტიანე, მაქსიმილიანე, კონსტანტინე და ვალერიუსი. ამ ეკლესიის ეზოში განისვენებდა უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი სილომონ II. ამ ტაძრის ნახვა მხოლოდ ფოტოზეა შესაძლებელი. ცნობილია, რომ უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი მეფე სოლომონ II-მ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჯერ არზრუმში შემდეგ კი ტრაპიზონში გაატარა. მაფე სოლომონ მეორე 1815 წელის 7 თებერვალს 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინგლისელი ისტორიკოსი ენტონი ბრაიერის ცნობით ტრაპიზონელმა ლაზებმა დაიტირეს სოლომონ მეორე. იგი წმინდა გრიგოლ ნოსელის ბერძნული ეკლესიის გალავანში დიდი პატივით დაკრძალეს. სოლომონ მეორის მიერ ტრაპიზონის მართლმადიდებლური ბერძნული ეკლესიისადმი შეწირული ოქროთი შეწირული სახარება.

ბიჟიშკიანის გადმოცემით წმ. ევგენიოსის ეკლესიის ახლოს, ქუზუნდერეზე მდებარეობდა მცირე ზომის წმ. გიორგის ეკლესია. გიორგობაზე აქ უამრავი მუსლიმანი მოდიოდა.

მართლმადიდებლურ ტაძრებთან ერთად ბიზანტიის ტერიტორიაზე რამდენიმე კათოლიკური ტაძარიც ფიქსირდება. ტრაპიზონის გარშემო ქალაქებსა და სოფლებში უამრავი ეკლესიის ნაკვალევი გვხდება. ბრაიერი წერს, რომ ტრაპიზონში 1204 წლამდე 24, 1461 წლამდე - 56 ტაძარი იყო.

V თავი: ტრაპიზონის აია სოფიის ფრესკული ხელოვნება

მართლმადიდებელი ანატოლია ამაყობს უდიდესი მნიშვნელობის სამი ტიპის აია-სოფიის ეკლესიით. კონსტანტინეპოლის არქიტექტურული შედევრია VI ს -ის აია-სოფია თავისი უზარმაზარი სიმაღლით და დიდი გუმბათით. მცირე ზომისაა VI ს -ის მეორე აია - სოფიის ტაძარი ნიკეაში, სადაც 787 წლის 24 სექტემბერს მეშვიდე საეკლესიო კრება ჩაატარა ბიზანტიის დედოფალმა ირინემ და იმპერიის პატრიარქმა ტარასმა. ამ დღეს იზეიმა ბიზანტიის იმპერიამ ხატთაყვანისცემის აღდგენა. მესამე აია-სოფია ტრაპიზონში აშენდა ქალაქის კედლების გარეთ, კომნენოსი მეფე მანუელის I მიერ დაახლოებით 1238-1263 წლებს შორის.

ტრაპიზონის იმპერიის გადარჩენილი მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრების გვირგვინია აია- სოფიის ტაძარი. ტაძარი არის ერთგვარი სიმბოლო XIII საუკუნის

ტრაპიზონის იმპერიისა. მანუელმა შეძლო იმ პერიოდის მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე დიდი ტაძრის აგება.

ტრაპიზონის აია-სოფიას აქვს პროვინციული ბიზანტიური სტილი. ქართული კონუსური გუმბათი, ქართული და ბიზანტიური ქვის ჩუქურთმები. ტაძრის ორნამენტული დეკორი, ჩუქურთმა და ნაგებობის ხუროთმოძღვრული ხასიათი სხვადასხვა ერის კულტურულ ერთობას ავლენს.

ტრაპიზონის აია-სოფიის მართლმადიდებლური ხელოვნება ზოგად წარმოდგენას გვიქმნის გახანგრძლივებული ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ დროზე. ტაძრის ეზოში გვხვდება ადრეული პერიოდის მომცრო ზომის ტაძარი რომელიც ხანძარმა გაანადგურა. აია-სოფიის დღვანდელი ტაძრი ოსმალებმა 1577 წელს მეჩეთად გადააკეთეს. ტაძარი პირველი მსოფლიო ომის დროს საავადმყოფოდ და იარაღის საწყობად გამოიყენებოდა. ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი პირველად 1916 წელს არქეოლოგებმა შეისწავლა. მოგვიანებით ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს რესტავრაცია. 1964 წელს მუზეუმად გადაკეთდა.

ტაძარი ჯვარგუმბათოვანია, გუმბათი ეყრდნობა მარმარილოს ოთხ მძლავრ სვეტს. გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. ეკლესიის მოზაიკური იატაკის დიდი ნაწილი გადარჩენილია, იგი კონსტანტინეპოლის აია-სოფიის ტაძრის იატაკის ტიპისაა, სადაც ერთ დიდ წრიულ დეკორთან 12 მომცრო წრეა შექმნილი, აქ მსახურების დროს იმპერატორი უნდა მდგარიყო.

დასავლეთით, ეზოში მოგვიანო პერიოდის 1426 წლის სამრეკლოა. სამრეკლო რამდენიმესართულიანია და შედარებით დაბალი ხარისხის ფრესკებითაა დამშვენებული.

,, ლაროსის“ ენციკლობედია, მეცნიერი ენტონი ისთმონდი, სევან და მუჟდე, თელბოთ რაისი ტაძრის ქართულ არქიტექტურასთან, კერძოდ მანგლისის ტაძრის დიდ მსგავსებებზე წერენ. უფრო მეტიც თელბოთ რაისი ტაძრის წარწერებში მშენებლობაში მონაწილე ქართველებზე საუბრობს, რომლებიც იქვე არიან დაკრძალულნი[www saraygumus. Com tr.].

ტაძრის მშენებლობა დაკავშირებულია იმპერატორ მანუელ I-თან. სამწუხაროდ დღეს აღარ შემორჩა ქტიტორის გამოსახულება. იგი ნახა და ჩაიხატა გრიგოლ გაგარინმა, მაგრამ შეცდომით მანუელ III-ედ მიიჩნია.

ტრაპიზონის აია-სოფია მდიდარია ფრესკებით. 1955-1964 წლებში ბრიტანული ექსპედიციის მიერ რესტავრაციისას აღმოჩნდა XIII საუკუნის ულამაზესი ფრესკები. სულ აღმოჩნდა 55 ბიბლიური სცენა, რომლებიც დაახლოებით 400 წლის განმავლობაში კირით, ცარცით და ჭუჭყით იყო დაფარული.

ტრაპიზონის აია - სოფია მდებარეობს ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს. აია - სოფია და სამრეკლო, რომელიც მოგვიანებით დაემატა, აშენდა კლდის კონცხზე, რომელიც გადაჰყურებს ზღვას.

თალბოთ რაისი ამბობს რომ ჰაგია სოფიას მონასტრის ადგილას ადრე ყოფილა სამონასტრო კომპლექსი. სამხრეთ ფასადზე წარმოდგენილი ორნამენტები მსგავსია მე-12 საუკუნის რუსული ეკლესიებისა, მაგალითად ვლადიმირ-სუზდალში წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესიის რელიეფები.

ტრაპიზონის სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფოს შორის ახლო ურთიერთობა და ნათესაობა იყო, ამიტომ აშკარაა ქართული ხელოვნების გავლენა ტაძრის არქიტექტურასა და მხატვრულ დეკორზე.

როგორც ბიზანტიური შენობის შესანიშნავი მაგალითი ტაძარს აქვს მაღალი, თორმეტწახნაგა შუა გუმბათი და ნართექსი სამი ნავით. შუა ნავი სრულდება ხუთწახნაგოვანი ნახევარწრიული ფორმის აფსიდით, შენობის გვერდითი ნავებიც ნახევარწრიულია. ჯონ ფრილი აღნიშნავს, რომ ტაძარში განთავსებულია კომნენუს პირველის საფლავი. სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ნართექსებს ყოფს ორი წყვილი სვეტი.

სამხრეთ ფასადის ზედა ფრიზზე ამოკვეთილია სცენა ძველი აღქმიდან. რელიეფური ფრიზზე კარგად იკითხება ერთთავიანი არწივი, რომელიც გადაჰყურებს დასავლეთს. იგი კომნენუსის სამეფოს სიმბოლოა, რომელიც მართავდა ტრაპიზონს 257 წლის განმავლობაში. მსგავსი არწივი მდებარეობს მთავარი აფსიდის გარეთა კედლებზე. ზუსტად ცენტრალური ფიგურის ქვის ქვემოთ გვხდება მტრედები, რომლებიც იყურებიან აღმოსავლეთით და დასავლეთით. რელიეფურ გამოსახულებათა შორის ასევე ფიქსირდება აპოკალიფსური ფიგურები, კენტავრები ვარსკვლავებთან და მთვარესთან ერთად. რელიეფს ამშვენებს არაბესკის სპირალური ორნამენტები, ვაზის ფოთლებით და თაიგულებით. აია სოფიის ტაძრის რელიეფები 1450-1850 წლებს შორის უნდა იყოს შექმნილი. სხვადასხვა ტიპის გამოსახულებებთან ერთად აქ გვხვდება მეთვზეთა გემები. სამწუხაროდ რელიეფთა დამკვეთი და შემსრულებელი ოსტატები არ არის ცნობილი. ისტორული წყაროები ასახელებს 1864 წელს აია სოფიის რესტავრატორს ვინმე რიზა ეფენდის.

აია-სოფიის ტაძრის კონქში გამოსახულია ტახტზე დაბრძანებული ღმრთისმშობელი ყრმა მაცხოვართან ერთად, რომელსაც მიეახლება ფეხზე მდგომი ანგელოზები. კონქის ქვემოთ, საკურთხევლის ცენტრალურ ნაწილში მაცხოვრის ამაღლების სცენაა, სადაც ქრისტე გამოსახულია ნუშის ფორმის მანდორლაში,

როგორც კოსტანტინეპოლის წმ. აია სოფიაში. ცენტრალური ფიგურის გვერდით, სამხრეთი კედლის ჰორიზონტალურ სივრცეში მუხლმოდრეკილი მოციქულებია, ხოლო ჩრდილოეთ კედლის ჰორიზონტალურ სივრცეში სასწაულებრივი თევზჭერაა აღწერილი. ქრისტე მანდორლაშია განთავსებული გუმბათის თაღშიც. ამაღლების სცენაში ანგელოზები ამზადებენ ზეცას.

მარცხენა კედელზე ამაღლების ქვემოთ, მეორე მხარეს წარმოდგენილია მოციქულთა კურთხევის სცენა. აქ იკითხება კრება, ზეციური ხედით და თავდახრილი მოციქულებით. ქრისტე ორივე მხარეს გაწვდილი ხელებით აკურთხებს მოციქულებს და არიგებს მათ მრავალ ენაზე იქადაგონ ყველგან მთელს დედამიწაზე.

საკურთხევლის მარჯვენა კედელზე გამოსახულია სასწაულებრივი თევზჭერის სცენა. ფრესკაზე იკითხება სიმონ-პეტრე სხვა ექვს მოციქულთან ერთად. საკურთხევლის მარჯვენა კედლის ქვედა იარუსზე გამოსახულია ურწმუნო თომა.

ტაძრის ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ ნაწილში, სამკვეთლოს აფსიდის თაღში ძლიერი დაზიანების გამო ფრესკები არ ჩანს ხოლო სადიაკვნო ნავის თაღში ღმრთისმშობლის შობის სცენა გვხვდება საკურთხევლის ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებასთან ერთად

აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილოეთი ნავის შესასვლელი კარის ტიმპანში გამოსახულია ოთხი წმინდა მამა: წმინდა საბა, წმინდა ანტონი, წმინდა ანთიმოზი და წმინდა თეოდოსი. ტიმპანის ზედა სივრცეში, კამარაზე- წმინდა სერგი და ბაქი ჩრდილოეთი ნავის შესასვლელი კარის კედელზე ანუ ტიმპანის თავზე - ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა ჩრდილოეთი შესასვლელი კარის ზედა სივრცეში-ჯვარცმა ძლიერ დაზიანებული ფრესკიდან იკითხება მხოლოდ გოლგოთა, გოლგოთის ჯვრის დაბოლოება ადამის თავის ქალით და ჯვარცმაში მონაწილე ფიგურათა წელესქვემოთ დაბოლოებები.

გუმბათის ცაში გამოსახულია ქრისტე პანტოკრატორი, რომელსაც ამშვენებს მფრინავი ანგელოზები მე-19 და მე 20 ფსალმუნის წრიულად შესრულებული ტექსტით. გუმბათის თორმეტწახნაგა ყელში, სარკმლებს შორის განთავსებულია თორმეტი მოციქულის ფიგურა. პანდატივებზე გამოსახულია ოთხი საუფლო სცენა, სადაც ყველაზე მეტად დაზიანებულია მაცხოვრის შობის სიუჟეტი ჯვარცმის სცენიდან გადარჩენილია თავდახრილი, მწუხარე წმიდა იოანე ღვთისმეტყველი და ჯვარცმული ქრისტეს ფიგურის ნაწილი. ნათლისღების და ჯვარცმის მრავალფიგურული სცენები გუმბათის პანდატივებზე სრულად არის გადარჩენილი.

დასავლეთ ფასადში შუა ცენტრალური ნავის ჩრდილოეთი კედელზე გამოსახულია ფეხთბანის სცენა, სადაც იკითხება ძლიერ დაზიანებული მაცხოვრისა

და ძლივს შესამჩნევი რამდენიმე მოციქულის ფიგურა. ფეხთბანის სცენის ზედა სივრცეში კამარაზე კარგად არის შემონახული საიდუმლო სერობის ფრესკა, აქ ზუსტად იკითხება მოციქულთა სახეები და სივრცე საიდუმლო სერობისთვის.

სამხრეთი ნავის დასავლეთ კედელზე დაზიანებულ ფრესკაზე ძლივს შეიმჩნევა პილატეს ხელთბანა ასევე რთულად იკითხება მის ქვემოთ წმინდა პეტრეს უარყოფა.

კარგად არის დაცული დასავლეთი ნართქსის მხატვრობა. შესასვლელი კარის თავზე, კამარაზე ხარების სცენაა, და ღვთისმშობელი არქიტექტურულ-პეიზაჟურ ფონზე მუქ სამოსში ხელსაქმით არის დაკავებული და გაკვირვებული შესცქერის კედლის მეორე მხარეს მისკენ მიმართულ ანგელოზს, რომელიც უხვად დრაპირებული აფრიალებული სამოსით და მოძრავი ფრთებით მიემართება ღვთისმშობლისკენ.

დასავლეთ ნართქსის შესასვლელი კარის ჩრდილოეთით ქრისტე პანტოკრატორი წარმოდგენილია ანგელოზებთან ერთად. დასავლეთ ნართექსის ჯვრულ რელიეფურ კამარაზე ოთხი მახარობლის სიმბოლური ფიგურა იკითხება. ეს არის ადამიანის, არწივის, ლომისა და ხბოს ფიგურები, რომელთა შორის დიდი ფორმატით ჩაწრილია ექვსფრედი ანგელოზები. ჯვრის მკლავები ნართექსის ცაზე შექმნილია ფერადი სამკუთხა გოფრირებული სხივებით. ამავე ნართექსის ცენტრალური შესასვლელი კარის გვერდითა მარჯვენა კედელზე, შედარებით დაბალ რეგისტრში ნათლისღების სცენა გვხვდება. ნათლისღების სცენის ნაწილი დაზიანებულია გადარჩენილ ნაწილში კარგად ჩანს კლდოვანი პეიზაჟური ფონი და წმ იოანე ნათლისმცემლის ფიგურა, მტრედი სულიწმინდის სახით და მაცხოვრის მხოლოდ შარავანდის ნაწილი. ნათლისღების კომპოზიციის ზედა რეგისტრში გამოსახულია სცენა ახალი აღთქმიდან, ბრმადშობილის სასწაულებრივი განკურნება. ახალი აღთქმის ეს სასწაული წარმოდგენილია პალმებისა და სვადასხვა ტიპის შენობების პეიზაჟურ ფონზე. კარგად ჩანს მაცხოვარისა და მოციქულთა ფიგურები და განკურნებული ბრმადშობილის თავდახრილი ფიგურა. უფრო მაღლა, კამარასთან გვხვდება საუბრები იერუსალიმის ტაძარში, სადაც მაცხოვარი აღსაყდერბულია მუქ ფონზე. იკითხება არქიტეტქტურული შენობები, მაცხოვარი გადაშლილი სახარებით და იერუსალიმში გაოცებულ მსმენელეთა სახეები.

დასავლეთ ნართექსის შესასვლელი კარის მარცხენა ნაწილში გადარჩენილია გალილეის კანის სასწაული. ფრესკაში კარგად ჩანს მაცხოვართან თხოვნით მისული ღვთისმშობელი, სტუმრები, სუფრა და ქვევრები სადაც წყალი ღვინოდ გადაიქცა.

შესასვლელი კარის ტიმპანის ჩრდილოეთ ნაწილის ფრესკული მხატვრობა არ იკითხება ტიმპანის თავზე -ხატი მანდილიონი ანგელოზებთან ერთად

ცენტრალური შესასვლელი კარის ტიმპანის ზედა სივრცეში, ჩრდილო მარჯვენა კუთხეში გამოსახულია -ასისთავის ვაჟის განკურნება. კომპოზიციაში მაცხოვარი მუქი

მოსასხამით და ღია ფერის ჯვრული შარავანდითაა, აქვე კარგად ჩანს მოციქულთა ფიგურა, ასისთავი და დაცემული ბიჭი რომელიც განიკურნა.

დასავლეთი ნართექსის შესასვლელი კარის სამხრეთი კამარაზე - სასწაულებრივი განკურნება გამოსახული ბეთესზდაში. მხოლოდ ჩანს მაცხოვრისა და განკურნებულის წელსზევით ფიგურები მოციქულებთან ერთად.

დასავლეთი ნართექსის კამაროვან თაღზე ჩრდილოეთით გამოსახულია სცენები ახალი აღქმიდან - ქარიშხლის დროს მაცხოვრის სასწაულებრივი გავლა წყალზე. მის ზემოთ სასწაული ზღვაში მოწაფეებთან, ცუდი ამინდის დროს, სიმონ პეტრეს სიდედრის განკურნება. ნართექსის თაღის სამხრეთი ნაწილის ქვედა რეგისტრში ხუთასი კაცის დაპურების სცენა. კარგად ჩანს ლაჟვარდისფერ სამოსში მაცხოვრის ფიგურა ლურჯ ფონზე და მის გარშემო მოციქულთა ხელით გადაცემული პური. ნართექსის თაღოვანი კამარის თავზე ცენტრალურ ნაწილში ექვსი წმინდა მამის ფიგურა

დასავლეთ ეგზო ნართექსში შესასვლელი კარის ტიმპანიის გარშემო სივრცე და ნართექსის კამარა უჭირავს სცენებეს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან.

ჩრდილოეთი ნართექსის შესასველი ეყრდნობა ოთხ მძლავ სვეტს რომელზეც დაყრდნობილია სამი თაღი. გადარჩენილია თაღებს შორის განთავსებული წმინდა გიორგის წამების ფრესკა აქვე ნახევარწრიულ არეში გამოსახულია იაკობის სიზმარი, ასევე იკითხება ნართექსის ჩრდილოეთი კედლის მხატვრობა სარკმლის თავზე, სადაც რვა წმინდანია, მის ზემოთ ახალი ქრისტიანების ნათლობა, ხოლო ჩრდილოეთი ნართექსის კამარის თაღზე მოციქულთა დასი და სამხრეთი სარკმლის თავზე საგვარეულო ხე.

უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონის აია-სოფიის ტაძრის მხატვრობა ზოგადი სტილისტური ანალიზით გვიანბიზანტიურ ეპოქის ფრესკული ხელოვნების უნიკალური მაგალითია. რთული და საინტერესო ეს ხუროთმოძღვრული ძეგლი ულამაზესი მხატვრული დეკორით წარმოადგენს ინტერკულტურული ხელოვნების ერთობის საუკეთესო მაგალითს.

VI თვი : ტრაპიზონის აია-სოფიის ტაძრისა და შემოქმედის ეპარქიის, აჭის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ფრესკული ხელოვნების პარალელები

აჭის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ოზურგეთიდან 9 კმ. დაშორებით აჭის წყლის ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. ეკლესია ხელოვნურად ამაღლებულ ბორცვზეა აშენებული. ტაძარი შემოსაზღვრულია მაღალი, მტკიცედ ნაგები ქვის

გალავნით. სავარაუდოდ ეს ადგილი ციხესიმაგრის ფუნქციასაც ითავსებდა. ტაძარი ბაზილიკური ფორმის დარბაზული ტიპის ნაგებობაა, გარედან შემოსილია თლილი ქვის პორფირით და ნიჟარისებური კირქვით. დიმიტრი ბაქრაძის გადმოცემით ტაძარი მერვე-მეცხრე საუკუნეებს განეკუთნება.

აჭის მონასტრის ფრესკული ხელოვნება საფუძვლიანად შეისწავლა დიდმა მეცნიერმა ქალბატონმა ჯილდა იოსებიძემ. მეცნიერი ჯ. იოსებიძე ამტკიცებს, რომ აჭის მონასტრის ფრესკები მიეკუთვნება „სამეფო მხატვართა“ მიერ შესრულებულ მხატვრობას. შემოქმედის ეპარქიის აჭის წმ. გიორგის ტაძრის მხატვრობა ახლოსაა ადიშსა და ბოჭორმის ტაძრის მხატვრობის კომპოზიციებთან. ამ ქართულ ძეგლებში, ბიზანტიურთან შედარებით, კომპოზიცია უფრო თხრობითია, მაგრამ ეს არ არის პრიმიტიული, რიტმული განმეორება, რადგან კომპოზიციის ცენტრი მკაფიოდ არის ხაზგასმული. ასეთივე მსგავსება იგრძნობა ცალკეულ ფიგურათა გადაწყვეტაშიც. განსაკუთრებით შესამჩნევია ფიგურათა მოძრაობის ხასიათის მსგავსება. ბოჭორმისა და აჭის კომპოზიციები ახლოა ერთმანეთთან რიტმით აქ იგი უფრო მშვიდია და მდგრადი, ვიდრე ადიშში. აჭის მონასტრის მხატვარი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთან და მასში ერთგავარად იგრძნობა კავშირი ბიზანტიურ ხელოვნებასთან. ბიზანტიურ ფერწრასთან კავშირზე პირველ რიგში ქართული განმარტებითი წარწერების პარალელურად მოცემული ბერძნული წარწერები მიგვითითებს. ლაკონური ქართული წარწერები უმეტესად კომპოზიციის თავში, კადრის ზედა კიდესთანაა მოთავსებული, მაშინ როცა წვრილი შრიფტით შესრულებული ბერძნული წარწერები უფრო ვრცელია და თითქმის მთლიანად ავსებს სადა, ცისფერ ფონს.

აჭის მონასტრის მხატვრის კონტაქტებზე ბიზანტიურ სამყაროსთან კერძოდ მის უშუალო კავშირზე ტრაპიზონთან მიგვითითებს რიგი კონკრეტული მომენტებისა - მხატვარზე როგროც ჩანს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ტრაპიზონის წმ სოფიის მოხატულობის (XIII ს-ის 60 -იანი წლების) იშვიათი იკონოგრაფიული ვარიანტით წარმოდგენილ, ზოგიერთ სცენას და ისინი აჭში თითქმის აბსოლიტური სიზუსტით გადმოუტანია.

აჭის მონასტრის მხატვრობის მჭიდრო კავშირები ტრაპიზონის წმ. აია სოფიის ტაძრის მხატვრობასთან არ იწვევს გაკვირვებას, რადგან აჭი ხომ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ დასავლეთ პროვინციაში მდებარეობს, რომელსაც განსაკუთრებული გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა ტრაპიზონთან. როგორც

მეცნიერი ჯ. იოსებიძე აღნიშნავს ეს მრავალფეროვანი იკონოგრაფიული მოტივები აჭში, შესაძლოა სწორედ ტრაპიზონის მხრით შემოვიდა, რადგან ტრაპიზონი ერთგვარი გზაჯვარედინი იყო, რომელზეც გადიოდა აღმოსავლეთ პროვინციებში მიმავალი გზები, რის გამოც მისი ფერწერა საკმაოდ რთულ სურათს გვაძლევს. აქ ერთდროულად გვხვდება არქაული მომენტები, რომელიც მას კაბადოკიასთან აკავშირებს და ბიზანტიური ხელოვნების ტენდენციებიც.

სწორედ ამიტომ არის აჭისა და ტრაპიზონის მხატვრობაში ასე გადახლართული არქაული და ახალი ტენდენციები, თუმცა უნდა აღინიშნოს მხატვრის ერთგვარი პროვინციულობა რომელსაც უფრო მეტად არქაიზმში გადავყავართ. მხატვრისთვის როგორც ჩანს ჯერ კიდევ ახლობელია ადრეული პალეოლოგებამდელი ტრადიციები, მაგრამ გარკვევით იკვეთება ახალი დროის ნიშნებიც. საინტერესოა ამ მხრივ, მოხატულობის კოლორიტი და სახის წერის მანერა, ამაზე მიგვითითებს ფიგურათა პროპორციები, სავსე სახეები და დიდი თვალები, ეს კი გვიჩვენებს რომ იგი პალეოლოგოსთა ეპოქას კერძოდ მის შედარებით ადრეულ ეტაპს ეკუთნის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს აჭის მონასტრისა და უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტის წმ. სოფიის ტაძრის მხატვრობაში წარმოდგენილი რამდენიმე საინტერესო პარალელი. წმ. სოფიის ტაძარში მაცხოვრის ამღლება მოცემულია ისე როგორც აჭში. ,,ამაღლების“ იშვიათი რედაქცია, სადაც ანგელოზები გამოსახულია საყვირებით, კომპოზიცია სრულიად იდენტურია შემადგენლობითა და პერსონაჟთა განლაგებით. წმინდა სოფიის გუბათიდანვე ნასესხებია და აჭშია გადმოტანილი მუხლმოდრეკილი მთავარანგელოზების ჯგუფის მოტივი საკურთხეველში, რომელიც კავშირშია დეისუსთან, იგი ასრულებს გუმბათის პანტოკრატორის როლს. წმინდა სოფიის სახელობის ეკლესიაში, მთავარანგელოზების რეგისტრი მიეკუთვნება სწორედ პანტოკრატორს, რაზეც მოგვითხრობს წარწერა, რომელიც მოთავსებულია ისე როგორც აჭში მთავარანგელოზების ორი ჯგუფის შეერთებასთან ცენტრში. ორივე შემთხვევაში მთავარანგელოზები პირველი წყვილის გარდა ენაცვლებიან ერთმანეთს. ისინი გამოსახულნი არიან, როგორც ჩვეულებრივ ისე ჰიტონებსა და ჰიმატიონებში, ხანაც იშვიათ ადრებიზანტიურ ფორმა ქლამიდებში.

წმ. გიორგის ცხოვრების სცენების სიახლოვე ტრაპიზონის მხატვრობასთან მხოლოდ ერთ მცირე ელემენტში მჟღავნდება- ეს არის თავისებურად განლაგებული პერპენდულობით და სამყურა მარგალიტებით შემკული გვირგვინები. ამგვარი გვირგვინები ტრაპიზონის წმ. სოფიის მხატვრობაში, მთავარანგელოზთა ლაბარუმების შემკულობაში ფიქსირდება. მარგალიტებით შემკული ლაბარუმები არც თუ იშვიათად გვხვდება ქართულ ხელოვნებაში, მაგრამ პერპენდულობითა და სამყურა მარგალიტებით შემკული გვირგვინები, რომლებიც აჭსა და ტრაპიზონის წმ. სოფიის მოხატულობაშია მოცემული ფაქტიურად არსად არ გვხვდება.

საგულისხმოა, რომ აჭის მონასტრის მხატვარი ტრანსფორმირდება ტრაპიზონის აია სოფიის მოხატულობაში. იკონოგრაფიული თანხვედრა ვლინდება „ამაღლების“ კომპოზიციაში, ასევე ერთნაირია ორივე მოხატულობაში მუხლმოდრეკილი მთავარანგელოზები. უმნიშვნელოდ მაგრამ ორივე მოხატულობაში ანალოგიურად არის გამოყენებული კედლების მოხატულობის მოტივი. აჭის მხატვარი გამოიყენებს მათ აგრეთვე რაპიდების მოსართავად. ტრაპიზონში წმ. სოფიაში მსგავსადაა მორთული მეფე დავითის გვირგვინი და ანგელოზის კვართი.

აჭის მონასტრის მხატვრობის ფერწერული ხელოვნება ძირეულად განსხვავდება იმ ძეგლების რიტმისაგან, რომელებიც პალეოლოგოსურ ეპოქას წარმოადგენენ. განსაკუთრებით თვალშისაცემია კომპოზიციები სადაც წარმოდგენილია მაცხოვრის ამაღლების სცენა. იგი არ განსხვავდება ტრაპიზონული ფერწერიდან როგორც იკონოგრაფიული ნიმუში, ეს კარგად ჩანს უპირველესად სცენის კომპოზიციურ დალაგებაში. ტრაპიზონის წმ. სოფიის ტაძრის მხატვრობაში მაცხოვრის ამაღლების სცენა განისაზღვრება, როგორც პალეოლოგოსური ეპოქის ნაწარმოები, მაშინ როცა აჭის მხატვრობაში ახალი სტილის თავისებურებები თითქმის არ იგრძნობა. წმ. სოფიის ოსტატი ახლის ძიებაშია, უფრო მეტი ემოციური განწყობა შეაქვს, ოსტატმა დაარღვია კომპოზიციის სიზუსტე, შეიტანა უფრო მეტი მოძრაობა და მეტი ფერადოვნება (Иосебидзе, 1989: 65-66). აჭის კომპოზიცია აგრეთვე მოკლებულია იმ დინამიკას და ექსპრესიას, რომელიც შევამჩნიეთ ტრაპეზუნტის წმ. სოფიაში, სამაგიეროდ ის გამოირჩევა უფრო რიტმული თანწყობით. ექვსი ანგელოზი გაშლილი ფრთებით თითქოს გარს შემოევლება მაცხოვარს. ეს შუა სცენა კომპოზიციისა, მკაფიოდ გამოიყოფა კუთხეებით, რაც ხაზგასმულია გრძელი ერთხაზიანი წარწერებით ორივე მხარეს. შუა მინდვრის ორივე მხარეს მოციქულები დგანან ჯგუფურად რამდენადმე შევიწროვებულად ცენტრისაგან, რაც ქმნის ამ მხრივ პაუზას.

შემოქმედის ეპარქიის აჭის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დეკორატიული მხატვრობისა და უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონის მხატვრობის კიდევ ერთ პარალელურ სიახლოვეზე მეტყველებს შესრულების ტექნიკა. დეკორატიული მხატვრობის შესრულების ტექნიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ტრაპეზუნტში, კაბადოკიასა და ლიკონიაში მიღებულია ერთფენიანი ბათქაში ძლიერ გაპრიალებული ზედაპირით(Иосебидзе, 1989: 77).

ამრიგად შემოქმედის ეპარქიის აჭის წმ. გიორგის სახელობის მონასტრისა და უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონის მცირე აია სოფიის ტაძრის ფრესკული ხატწერის შესწავლით გამოიკვეთა არაერთი საყურადღებო, ახლო პარალელი ორ მართლმადიდებლურ ძეგლს შორის. შესწავლილი მჭიდრო პარალელები კიდევ ერთხელ ამტკიცებს აქ დამკვიდრებულ ერთიან, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში. ქალაქ ტრაპიზონისა და შემოქმედის ეპარქიის ისტორიული ერთობის შესახებ მოგვითხრობს აჭის მონასტრის ქრონიკები. გადმოცემის თანახმად წმ. თამარ მეფეს ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ უხვი საბოძვარი გაუღია აჭის ეკლესიისათვის, მათ შორის მოხატვაც დაუვალებია ქართველი ხატმწერისათვის, რომელსაც ხატწერა კონსტანტინეპოლში უსწავლია. უხვ საბოძვართა შორის განსაკუთრებულია ვერცხლის, მოოქროვილი ,, თამარ მეფის ჯვარი“, რომელიც მას აჭის წმ. გიორგის სახელობის ტაძრისთვის შეუწირავს. ეს ჯვარი შემოქმედის ეპარქიის მნიშვნელოვან საგანძურშია დაცული.

დასკვნები:

1. ქალაქი ტრაპიზონი ერთ-ერთი განსაკუთრებული რეგიონია დღევანდელ თურქეთში, რომელსაც შავიზღვისპირეთის დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. უძველესი ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში დღემდე არსებობს მნიშვნელოვანი მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც თავისი არქიტექტურით, მხატვრობით, რელიეფით, ავლენს გვიან ბიზანტიურ და განვითარებული და გვიან შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სახასიათო თვისებებს, ადგილობრივ ტრაპიზონულ-კაპადოკიური გავლენით.
2. ქ. ტრაპიზონში ფიქსირდება შუა საუკუნეებით დათარიღებული, მართლმადიდებლური ხელოვნების რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი: მცირე აია-სოფია, სუმელას მონასტერი, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. ევგენიოსის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. ფილიპეს, წმ. ანას, წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიები.
3. ტრაპიზონის მართლმადიდებლური ხელოვნების სტილისტურ ხასიათს განსაზღვრავს ქალაქის ეთნიკური სიჭრელე, მკვეთრად განსხვავებულ კულტურათა თანაარსებობა და რაც მთავარია ოქროს ხანის საქართველოს აქ დაარსებული ,, უძლეველი ტრაპიზონის იმპერია“. უხსოვარი დროიდან ამ ქალაქში სახლობდნენ ლაზები, პონტოელი ბერძნები, თურქები და სხვ. რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ ისეთ კულტურულ მემკვიდრეობას რომელსაც განსაკუთრებული, ქართული ხასიათი ასულდგმულებს. დედით ქართველთა ქალაქის, ტრაპიზონის მართლმადიდებლური ხელოვნება ისეთ განსაკუთრებულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სავაჭრო პირობებში პალეოლოგოსური ეპოქის მეტად საინტერესო შედეგრებს ქმნიდა.
4. ხელოვნებათმცოდნეები მისტრასა და სალონიკების გვერდით XIV საუკუნეში აღნიშნავენ ბიზანტიური ხელოვნების კიდევ ერთ პერიფერიულ ცენტრს - ტრაპიზონს. სამწუხაროდ, ტრაპიზონული მხატვრული სკოლა არ არის სრულად

შესწავლილი ძეგლების სიმცირის გამო. დასკვნები კეთდება შემთხვევით გადარჩენილი რამდენიმე ძეგლის მიხედვით. მისტრას, სალონიკის და ტრაპიზონის მსგავსად კონსტანტინეპოლის გავლენას განიცდიდა სხვა ეროვნული სკოლებიც. ამ სკოლებში პალეოლოგოსური სტილის დამკვიდრება და განვითარება სტიმულირდება პერიფერიებში დედაქალაქიდან შემოღწეული სახეებით, რომელთა გაცნობაც ხელს უწყობს XIII ს. არქაული ტრადიციების გაქრობას.

5. ვფიქრობთ, ტრაპიზონში პალეოლოგოსური სტილის განვითარება უკავშირდება დედაქალაქიდან შემოტანილ სხვადასხვა მხატვრულ ფორმებს. კონსტანტინეპოლიდან გავრცელებული ფერწერის ახალი მხატვრული ხასიათი ,,ტრაპიზონის იმპერიაში„ მექანიკურად ედება წმიდა აღმოსავლურ ტრადიციას ნეოელინისტური ფორმების საწინააღმდეგოდ.
6. ტრაპიზონულ, მართლმადიდებლურ ფერწერას ახასიათებს: აქტიური, დინამიური მოძრაობა თხრობაში, წერის ფართო მანერა, განვითარებული არქიტექტურული ფონი. შერეული ადგილობრივი, აღმოსავლურბიზანტიური და ერთგვარი რენესანსული თვისებები ფერწერაში.
7. ტრაპიზონის წმ. სოფიის ტაძრის ფრესკულ ხელოვნებას საინტერესო პარალელები აქვს შემოქმედის ეპარქიის აჭის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მხატვრობასთან. ხელოვნებათმცოდნე ჯ. იოსებიძე ამტკიცებს, რომ აჭის მონასტრის მხატვარზე როგროც ჩანს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ტრაპიზონის წმ. სოფიის მოხატულობის (XIII ს-ის 60 -იანი წლების) იშვიათი იკონოგრაფიული ვარიანტით წარმოდგენილ, ზოგიერთ სცენას და ისინი აჭში თითქმის აბსოლიტური სიზუსტით გადმოუტანია.
8. დღევანდელ თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უძველეს ლაზიკა-ქალდეაში, ოკუპირებული ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის შესწავლა უაღრესად საინტერესო და ემოციურ გარემოში მიმდინარეობდა. ჩვენი ნაშრომი მიეძღვნა ტრაპეზუნტის რეგიონში განლაგებულ, სამიტროპოლიტოში შემავალ ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრების მომცველი ქვეყანის ქრისტიანულ ხელოვნებას, რომელიც ქართული და უცხოური წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებით, უტყუარ საეკლესიო სწავლებებთან ერთად ამტკიცებს, რომ დაარსებისთანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოც შედიოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი, 2012: - ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი) ზ., ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, თბ.2012.

2. ბატიაშვილი, 2013: - ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი) ზ., ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში, თბ.2013.

3. ბერძნული ტექსტი ქართული ნათარგმნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966.

4. გაბაშვილი, 1990: - გაბაშვილი ტ., „მიმოსვლა“, ქართული მწერლობა, ტ. 8 თბ. 1990.

5. პახიმერე, 1965:-პახიმერე გ., ისტორია წგ : გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა თბ.1965.

6. გოზალიშვილი, 1972: - გოზალიშვილი გ., კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის ,, მნათობი“ N 8. თბ.1972.

7. ნინიძე, 1997: - ნინიძე დ., საქართველო-ბიზანტია ტრაპიზონის დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიიდან. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. IV თბ. 1997.

8. ქართლის ცხოვრება. I ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ 1955.

9. ბაქრაძე, 1987: - ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ. 1087.

10. თაყაიშვილი, 1907: - თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, თბ.1907.

11. ასათიანი, 2015: -ასათიანი ვ., ბიზანტიური ცივილიზაცია,თბ.2015.

12. ჭიჭინაძე, 1916: - ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, თბ.1916.

13. ჭიჭინაძე, 2007: - ჭიჭინაძე ზ., ალი-ფაშა თავდგირიძე, კოპლატაძის რედაქტორობით. თბ.2007.

14. ავალიშვილი, 1989: - ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბ 1989.

15. ქართველიშვილი, 2006:- ქართველიშვილი თ., გურიის საეპისკოპოსოები, ,,არტანუჯი“, თბ.2006.

16. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება II ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ 1959.

17. მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. წგ :გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VII ბერძნული ტექსტი

ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებელით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ 1967.

18. მემატიანე ქართლისა. წგ: ქართლის ცხოვრება. I ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ 1955.

19. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009: - ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ.2009.

20. მიტროპოლიტი ანანია მანგლელი, 2013: - ჯაფარიძე ა., ქალდეა (ქალდეა-ლაზიკის სამიტროპოლიტო), თბ.2013.
21. ნიკიფორე გრიგორასი. VII ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1967. V . ანნა კომნენსონი. ალექსიდა. წგ: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

22. ნიკიტა ხონიატე. წგ: გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VI ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და განმარტებები დაუთმო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ 1966.

23. საქართველოს სულიერი საგანძური, ტ I, თ.2005.

24. ქართული საბჭოთა ენციკლობედია, ტ 2, თბ. 1977.

25. სამუშია, 2003:- სამუშია ჯ., ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი. (XI-XII სს.) თბ 2003.

26. იოსებიძე, 1978:- იოსებიძე ჯ.,ძველი ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან; საბჭოთა ხელოვნება, თბ.1978.

27. Лазарев,1986 : - Лазарев В. Н., История Византийской живописи. М.1986.

28. Иосебидзе Дж. Росрис Ачи. Т.1989.

29. İsmail KÖSE - The freskoes of the hagia sophia, www. Saraygumus.com.tr (გამოცემის თარიღი და ადგილი არ არის მითითებული)

30. www.trt.net.tr/.../trapizonshi-micisk-vesha-k-alak-i-ag-moac

ილუსტრაციები

ტრაპიზონის წმ აია სოფია

ნართექსის მოხატულობა

ნართექსის რელიეფი

აია სოფიას მოხატულობა

მცირე აია სოფიას საძირკველი

წმ ანას სახელობის ეკლესია

წმ ანა ეკლესიის მოხატულობა სამხრეთ კედელზე მარცხენა მხარეს გარდამოხსნის სცენა

სამხრეთი კედლის მარჯვენა მხარეს დატირების სცენა

მარიამი ყრმა ქრისტესთან და ქტიტორთან ერთად

წმ ანას ეკლესიის კონქი

ხრისოკეფალოს ეკლესია

ხრისოკეფალოს ეკლესიის საკურთხეველი

პანაგია ხრისოკეფალოს იატაკის მოზაიკა

ხრისოკეფალოს ეკლესიის გუმბათი

წმ იოანეს ეკლესია

წმ იოანეს ეკლესიის შიდა სივრცე დღეს

წმ ფილიპეს სახელობის ეკლესია შიდა სივრცე

წმ ფილიპეს ეკლესიის გუმბათი



წმ ანდრიას სახელობის ეკლესია, საკურთხევლის მხარე

წმ ევგენიოსის ეკლესია საკურთხეველი

წმ ევგენიოსის ეკლესიის შიდა სივრცე



წმ ევგენიოსის ეკლესიის შესასვლელი კარი და ტიმპანი